

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების
სახელმწიფო დაფინანსების
გავლენა ქვეყნის
სოციალურ-ეკონომიკურ
განვითარებაზე

ბათუმი
2023

ავტორები:

- თავი I – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე შაინიძე** და
ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორი **გიორგი ქათამაძე**;
- თავი II – ბსუ-ს დოქტორანტები **ნესტან ვარშანიძე** და **გიორგი აბაშიძე**;
- თავი III – ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორი **ნინო მამულაძე**;
- თავი IV – ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორი **ნინო მამულაძე**;
- თავი V – ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორები **თამარ ფოლადაშვილი**, **იამზე სურმანიძე**,
ტარიელ გიორგაძე, **თამილა თურმანიძე**, **ნინო მამულაძე**,
ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე შაინიძე**;
- თავი VI – ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორი **თამარ ლოლობერიძე**;
- თავი VII – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე შაინიძე**;
- თავი VIII – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე შაინიძე**,
ეკონომიკის დოქტორი **თამთა ბერიძე**;
- თავი IX – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე შაინიძე**,
ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორები **ნინო მამულაძე** და **იამზე სურმანიძე**;
- დასკვნები და რეკომენდაციები – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ეკატერინე შაინიძე, ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორები **ნინო მამულაძე**,
გიორგი ქათამაძე, **თამარ ფოლადაშვილი**, **იამზე სურმანიძე**,
ტარიელ გიორგაძე, **თამილა თურმანიძე**, **თამარ ლოლობერიძე**,
ეკონომიკის დოქტორი **თამთა ბერიძე**,
ბსუ-ს დოქტორანტები **ნესტან ვარშანიძე** და **გიორგი აბაშიძე**.

კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სტუდენტები **ანა შარაბიძე**, **ლიკა ლურსმანაშვილი**, **ლინდა ლორჯომელაძე**.
ნაშრომი ინგლისურად თარგმნა ბსუ-ს ასისტენტი-პროფესორმა **თამარ ლოლობერიძემ**.

სამეცნიერო რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **პაატა არაშიძე**;

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ბსუ-ს პროფესორი **ვაჟა ვერულიძე**;
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბსუ-ს პროფესორი **ნანა მაკარაძე**.

დიზაინერი: **დათო მოსიაშვილი**

ISBN 978-9941-8-6175-8

DOI <https://doi.org/10.5281/zenodo.10404299>

სტამბა „ფავორიტი სტილი“

☎ საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5

☎ 032 2 500 580

წინამდებარე ნაშრომი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული მონოგრაფიულ კვლევაა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იყვნენ ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების ახალგაზრდა მკვლევარები. კვლევაში შესწავლილია საქართველოში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმი, სტრუქტურა, მისი შედეგიანობა და ეფექტიანობა, გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მაჩვენებელზე.

მონოგრაფია განკუთვნილია განათლებისა და ეკონომიკის მიმართულებების მკვლევარებისთვის, საგანმანათლებლო და ეკონომიკური რეფორმების განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, სტუდენტებისთვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის,

მონოგრაფიის გამოცემა დაფინანსებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ ფარგლებში.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. უმაღლესი განათლების დაფინანსების სამართლებრივი საფუძვლები, ინსტიტუციური სტრუქტურა და უფლებამოსილებათა დელეგირება.....	7
თავი II. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უცხოური მოდელები	28
თავი III. საზოგადოების ინფორმირებულობა საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმის შესახებ ...	55
თავი IV. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის ანალიზი	64
თავი V. პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების შედეგიანობა	68
თავი VI. განათლებაზე განუყოფელი ხარჯების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე	84
თავი VII. ბიუჯეტის პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შეფასება	92
თავი VIII. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის აუდიტის შედეგები	98
თავი IX. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენის განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მაჩვენებელზე.....	106
დასკვნები და რეკომენდაციები	111
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.....	125

შესავალი

საქართველოში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების მონაწილეობით თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება. აღნიშნულ მისიაში უმთავრესია კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვა, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა თვითრეალიზების ხელშეწყობა, მათი აღჭურვა შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რაც საბოლოო ჯამში დადებითად უნდა აისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით, რომელთა აღწერილობაში განსაზღვრულია მკაფიო მიზანი და ამოცანები. კვლევის ფარგლებში სწორედ აღნიშნული პროგრამებით განსაზღვრული მიზნების შესრულების შეფასება და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებით გაზომვა განხორციელდა, დადგინდა კორელაციური კავშირი ამ მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს შორის, გამოიკვეთა პრობლემები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევის მიზანია უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის დადგენა.

კვლევის ამოცანებია:

- უმაღლესი განათლების დაფინანსების ინსტიტუციური სტრუქტურისა და უფლებამოსილებათა დელეგირების ანალიზი;
- უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უცხოური მოდელების ანალიზი;
- დაფინანსების მექანიზმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა და შესაბამისობის დადგენა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის ანალიზი;

- პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების შედეგიანობის განსაზღვრა დასაქმების მაჩვენებლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების გამოყენებით;
- მთლიან საბიუჯეტო ხარჯებში უმაღლესი განათლების დაფინანსების წილის ზრდის ტენდენციის შედარება ცხოვრების დონის ზრდასთან;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ქვეპროგრამებით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შეფასება შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით;
- საკვლევი თემის მიმართულებით განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის შედეგების განხილვა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
- უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენის განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მაჩვენებელზე;
- კვლევის შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

თავი I

უმაღლესი განათლების დაფინანსების სამართლებრივი საფუძვლები, ინსტიტუციური სტრუქტურა და უფლებამოსილებათა დელეგირება

უმაღლესი განათლების პოლიტიკა, მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, დაფინანსების წესისა და სტრატეგიის შემუშავება ის საკვანძო საკითხებია, რომლის სახელმწიფოს მიერ სწორი დაგეგმვა-განხორციელება პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. უმაღლესი განათლება არის ის მიმართულება, რომლის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შიდასახელმწიფოებრივი რესურსების გარდა, დიდი რაოდენობით იხარჯება, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური ქვეყნების საგრანტო და სასესხო რესურსები.

კვლევა მოიცავს საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების სამართლებრივი საფუძვლების, მისი სტრუქტურისა და ინსტიტუციური მექანიზმების ანალიზს.

საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების ანალიზისას ჩვენს მიერ გამიჯნულია ორი მიმართულება:

1. საქართველოს მოქალაქეთა უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლებლობები;
2. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლებლობები.

საქართველოში განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება დაცულია ქვეყნის უმაღლესი კანონით, საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 27-ე მუხლის თანახმად:

- „1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სა-

ვალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია“.

ამასთანავე, საქართველოში განათლების სამივე საფეხური რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით, კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო რეგულირდება საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, ზოგადი განათლება – საქართველოს კანონებით „ზოგადი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, პროფესიული განათლება – საქართველოს კანონებით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით, ხოლო უმაღლესი განათლება კი – საქართველოს კანონებით „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.


საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა 2004 წელს დაიწყო, რომელიც სამივე საფეხურს შეეხო და ფუნდამენტურად შეცვალა იგი როგორც ინსტიტუციურად, ისე შინაარსობრივად. 2004 წლიდან დღემდე კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ 102 ცვლილებაა შეტანილი, მათ შორის, ბოლო ცვლილება 2023 წლის 28 ივნისს შევიდა.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და იგი ხორციელდება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

2023 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, საქართველოში სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს 72135 სტუდენტი, მაგისტრატურის საფეხურზე – 22426, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას გადის

3207 სტუდენტი (ელ. რესურსი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>).


სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კერძო სასწავლებლებში აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: ბაკალავრიატის საფეხურზე – 37902 სტუდენტი, მაგისტრატურაზე – 25390 და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე – 232 პროფესიული სტუდენტი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>).

**სტუდენტთა რიცხოვნობა კერძო უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კაცი**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განმარტებულია, როგორც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციებს“.

ამავე კანონით უშუალოდ უმაღლესი განათლება განმარტებულია შემდეგნაირად: „უმაღლესი განათლება – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-ნ-მე-8 დონეების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და დასტურდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით“.

საქართველოს განათლების სისტემის ერთიანი სტრუქტურული სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: <https://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებითათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.

უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა).

კოლეჯი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია:

უნივერსიტეტები:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
3. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

5. სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
6. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
7. სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;
8. ა(ა)იპ – საქართველოს აგრორული უნივერსიტეტი;
9. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;
11. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
12. სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
13. შპს – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;
14. შპს – დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი;
15. შპს – საქართველოს უნივერსიტეტი;
16. შპს – კავკასიის უნივერსიტეტი;
17. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
18. შპს – საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი;
19. შპს – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
20. შპს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
21. შპს – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
22. შპს – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
23. შპს – ქუთაისის უნივერსიტეტი;
24. ა(ა)იპ – ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
25. შპს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
26. ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი;
27. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;

28. სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
29. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
30. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი;
31. სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
32. შპს – სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი;
33. სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სასწავლო უნივერსიტეტები:

34. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
35. სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
36. სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
37. შპს – პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია;
38. შპს – სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“;
39. შპს – ალტე უნივერსიტეტი;
40. შპს – თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი;
41. შპს – ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;
42. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი;
43. შპს – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
44. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ;
45. შპს – ევროპის უნივერსიტეტი;
46. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
47. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
48. შპს ბაუ ინტერნიშენალ უნივერსითი, ბათუმი;

49. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი;
50. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი;
51. შპს ბრიტანულის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში;
52. შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
53. ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში;
54. შპს ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი.

კოლეჯები:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემია (ყოფილი – შპს უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯია“);
2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნი (ყოფილი – ახალი უმაღლესი სასწავლებელი)

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

1. ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია;
2. ა(ა)იპ – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი;
3. ა(ა)იპ – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია;
4. საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია;
5. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია;
6. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია;
7. ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი.

2013 წელს განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“ ციტირებულია მსოფლიო ბანკის ანგარიში, სადაც მოცემულია საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის ანალიზი. აღნიშნული კვლევის თანახმად, „2004 წელს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა საქართველოში არსებითად შეიცვალა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით. ცვლილებების განხორციელების დროს სისტემის შეცვლის მიზანი იყო უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების, უმაღლეს სასწავლებლებზე სახელმწიფო თანხების განაწილებისა და განკარგვის პროცესებში არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა. სახელმწიფომ თანდათან მინიმუმამდე დაიყვანა უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირი დაფინანსება და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა იგი სტუდენტების დაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მსგავსება შეინიშნება ევროპის ქვეყნებში დაფინანსების არსებულ სისტემასთან, რომელშიც უნივერსიტეტების დაფინანსების ფორმულის უმთავრეს კომპონენტს სასწავლებელში სტუდენტების რაოდენობა წარმოადგენს, დაფინანსების ეს მექანიზმი მაინც საგრძნობლად განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ თითო სტუდენტზე გაცემული თანხა ფარავს მხოლოდ ე.წ. სწავლების საფასურს. გარდა ამისა, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას არა სტუდენტთა რაოდენობის, არამედ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. დანარჩენმა სტუდენტებმა კი სწავლების საფასური თავად უნდა დაფარონ“.

საქართველოში სტუდენტთა დაფინანსების მექანიზმს წარმოადგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით სასწავლო გრანტის გაცემა.

„2022-2023 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2022 წლის 26 აპრილის №220 დადგენილებით 2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/ მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 12 723 750 (თორმეტი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარით.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები – არაუმეტეს 4 წელი;
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 5 წელი;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა – არაუმეტეს 5 წელი;
- დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 6/არაუმეტეს 5 წელი;
- მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 1 წელი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 1 წელი;
- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი – არაუმეტეს 2 წელი.

ერთ საგანმანათლებლო საფეხურზე (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გრანტი (მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში) გაიცემა მხოლოდ ერთხელ. ერთი საფეხურის რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში, გრანტი გაიცემა მხოლოდ ერთი პროგრამის დასაფინანსებლად. გრანტის თანხა ითვლება რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ბაკალავრიატის საფეხურზე ყოველი სასწავლო წლის 1 ნოემბრისა და 1 აპრილის მონაცემების გათვალისწინებით, მაგისტრატურის საფეხურზე ყოველი

სასწავლო წლის 15 ნოემბრისა და 1 აპრილის მონაცემების გათვალისწინებით.

მართვის სისტემა საგრანტო თანხების გაანგარიშებას ახორციელებს მხოლოდ ზემოხსენებულ თარიღებში უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებად დაფიქსირებული პირებისათვის, რომლებიც ირიცხებიან აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაბამისი სტუდენტის მიერ მოპოვებული გრანტის გადარიცხვის შეჩერების საფუძველი.

ამ საფუძველით გრანტის გადარიცხვის შეჩერების ან გრანტის გადარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს სტუდენტს გადაურიცხავი გრანტის ოდენობის შესაბამისი თანხის ან/და მისგან გამომდინარე სხვა გადასახდელების (პროცენტი, ჯარიმა და ა.შ) გადახდა. ამასთან, პროგრამას აკრედიტებული სტატუსი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბერს (ბაკალავრიატის საფეხურზე) და 15 ნოემბერს (მაგისტრატურის საფეხურზე), ხოლო გაზაფხულის სემესტრში – 1 აპრილს (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის საფეხურებზე).

მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანა შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. სტუდენტს მოპოვებული გრანტი გადაჰყვება თავდაპირველად მოპოვებული ოდენობით. როცა მიმღები პროგრამის საფასური ნაკლებია სტუდენტის მიერ მოპოვებული გრანტის ოდენობაზე, გრანტი უტოლდება ამ პროგრამის საფასურს. ყოველი შემდგომი მობილობისას, სტუდენტს გრანტი მიყვება წინა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/პროგრამაზე არსებული ოდენობით.

თუ სტუდენტი სწავლას აგრძელებს თავდაპირველი პროგრამისგან განსხვავებულ პროგრამაზე, მიმღები პროგრამით სწავლა დაფი-

ნანსდება თავდაპირველი პროგრამით სწავლის დაფინანსებისათვის დარჩენილი წლების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონით გათვალისწინებული წლების განმავლობაში.

მობილობის განხორციელების შემდგომ, სტუდენტს მიმღებ დაწესებულებაში, აკრედიტებულ პროგრამაზე გრანტი გადაჰყვება ავტომატურად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რისთვისაც დამატებით განცხადებით მიმართვა საჭირო არ არის.

მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში დაუშვებელია სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანა არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტს მიმღებ პროგრამაზე არ გადაჰყვება პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან/შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში პირს უნარჩუნდება გრანტი.

თუ პირს სტატუსი შეუჩერდა უცხო ქვეყნის დაწესებულებაში სწავლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე, რომლის დროსაც შეუძლებელია სწავლის გაგრძელება, მოპოვებული გრანტით სარგებლობის უფლება უნარჩუნდება ამ საფუძვლის არსებობის ვადით.

სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლას აგრძელებს იმავე ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამაზე, მის მიერ თავდაპირველად მოპოვებულ გრანტს გამოიყენებს ამ პროგრამის დასაფინანსებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლას აგრძელებს იმავე ან სხვა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მის მიერ

თავდაპირველად მოპოვებულ გრანტს გამოიყენებს ამ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით (ელ.რესურსი:<https://emis.ge/umaghlesi-ganatileba/dafinanseba/>).

განსაზღვრულია სახელმწიფო სასწავლო გრანტით იმ პირთა დაფინანსების წესი, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სწავლას აგრძელებენ საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 მაისის N263 დადგენილების შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე პირს, რომელზეც გაცემულია პირადობის ნეიტრალური მონმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე, სწავლას განაგრძობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლებლობას. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (1) გ⁴ პუნქტით თანახმად, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმაღლესი განათლების დაფინანსების ოდენობასა და პირობებს საქართველოს საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან ნაცვალგების პრინციპით ან სპეციალური სახელმწიფო პროგრამით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პროგრამის ფარგლებში შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება, თუ

იგი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირდა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მიმდინარე წლის პირველ აგვისტომდე განაცხადა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

„2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 სექტემბრის №104/ნ ბრძანებით, 2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა განისაზღვრა 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარით.

„2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 სექტემბრის №105/ნ ბრძანების თანახმად, 2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა განისაზღვრა 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარით. ამასთან, 2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარისა.

„უმალლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია:

- ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმალლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე);
- ბ) გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
- გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- დ) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- ე) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

დაფინანსების აღნიშნულ წყაროებში მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებას უჭირავს, რომლის წლიური მოცულობა და გრანტის ოდენობები ყოველწლიურად განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2009-2010 სასწავლო წლიდან დღემდე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობა არ შეცვლილა და შეადგენს 2250 ლარს. ამასთან, აღნიშნული პერიოდიდან დღემდე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული მოცულობა 10 730 000 (ათი მილიონ შვიდას ოცდაათი ათასი) ლარიდან გაზრდილია მხოლოდ 12 600 000 (თორმეტი მილიონ ექვსასი ათასი) ლარამდე ანუ 17,42%-ით.

უმალლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები გათვალისწინებულია ყოველწლიურად როგორც სახელმწიფო ბიუჯე-

ტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ასიგნებებში.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებს მიეკუთვნება: სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სასწავლო გრანტით სწავლის დაფინანსების სოციალური პროგრამა, სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობასა და პირობებს ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა შესაბამისი დადგენილებით. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს N324 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო სასწავლო გრანტით სწავლის დაფინანსების სოციალური პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის (შემდგომში გრანტი) სრული ოდენობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, სოციალური პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრანტის სრული ოდენობისა.

სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება სტუდენტთა შემდგომ კატეგორიას:

- სტუდენტები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „მაღალმთიან დასახლებათა

ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხით“ გათვალისწინებულ დასახლებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გურიის რეგიონში, იმერეთის რეგიონში, კახეთის რეგიონში, სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ქვემო ქართლის რეგიონში, შიდა ქართლის რეგიონში). დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა პროპორციულად გადანაწილება ამ კატეგორიის სტუდენტთა მიერ თითოეული რეგიონის მიხედვით შემოსული განცხადებების რაოდენობის შესაბამისად;

- სტუდენტები, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე ბოლოს ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ასევე სტუდენტებს, რომლებიც, თავიანთ ოჯახებთან ერთად 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის, ქუთაისის, თილვის, ახალგორის ან აჭარის მუნიციპალიტეტებში;
- სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები;
- სტუდენტები, რომლებიც არიან საერთაშორისო და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის

სამშვიდობო მისიების განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებულ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის შვილები;

- სტუდენტები, რომლებიც არიან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ან შვილები;
- სტუდენტები, რომლებსაც „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრკ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ჰქონდათ რეპატრიანტის სტატუსი;
- სტუდენტები, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება);
- სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;
- სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- სტუდენტები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროსი, ან მინდობით აღზრდაში) ან გასულნი არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ 2 წლის განმავლობაში;
- სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე;
- სტუდენტები, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერი-

ტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

- სტუდენტები, რომლებიც არიან აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F 84.0; F 84.1; F 84.2; F 84.3; F 84.4; F 84.5; F 84.8; F 84.9) მქონე პირები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი განათლების დაფინანსებას, რაც გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პირისათვის, რომელსაც ან რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად/ მკვეთრად/ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანისთვის ან მისი შვილისთვის, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირისათვის. ასევე, ფინანსდება სამეცნიერო კონფერენციები, სამეცნიერო ღონისძიებები, სეზონური სკოლები, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა, სწავლა საზღვარგარეთ, რაც გულისხმობს დაფინანსების გაცემას სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე/მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე პირებზე, რომლებიც ჩაირიცხებიან პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები), სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების დაფინანსებასა და სტიპენდიების გაცემას.

უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამები გათვალის-

წინებულია ადგილობრივ ბიუჯეტებშიც. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტთა სტაჟირების დაფინანსებას საზღვარგარეთ, სტიპენდიებს წარმატებული სტუდენტებისთვის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის, ჯილდოები 100 პროცენტის გრანტის მომპოვებელი აბიტურიენტებისათვის, უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სტიპენდიებით დაფინანსებას.

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს იმ სტუდენტთა წახალისებას ერთჯერადი სტიპენდიით, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვეს სახელმწიფო (50%, 70%, 100%) გრანტი და ჩარიცხნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებით უმაღლესი განათლების ხელშეწყობის დაფინანსება გათვალისწინებული არ არის.

თავი II


უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უცხოური მოდელები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (უსდ) ფინანსური რესურსების განაწილება წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემის შესაძლებლობა, უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს, ამასთანავე, გამოიყენოს რესურსები მაქსიმალურად ეფექტიანად. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა სულ უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას გაზომვადი მიზნებისა და შესრულებული საქმიანობების საფუძველზე ფინანსური სახსრების განაწილებაზე.

2022 წლის მონაცემების მიხედვით ევროპაში 5000-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, 17,5 მილიონი სტუდენტით, 1,35 მილიონი ლექტორითა და 1,17 მილიონი მკვლევრით. (ელ რესურსი: <https://education.ec.europa.eu/document/commission-communication-on-a-european-strategy-for-universities>).

ევროპის ქვეყნებში ძირითადი სახელმწიფო დაფინანსება უნივერსიტეტებზე ნაწილდება ბლოკ გრანტის სახით, რომელიც განისაზღვრება განაწილების სხვადასხვა მექანიზმით. იგი მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებზე აგებულ ფორმულებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ორიენტირებული შემოსავლებზე ან ხარჯებზე, მიზნების განსაზღვრაზე (დაფინანსების ზემოქმედების შედეგით ან მის გარეშე), კონტრაქტებზე და/ან შეთანხმებაზე ან ე.წ. ისტორიულ გამოცდილებაზე.

საჯარო დაფინანსების განაწილების მექანიზმი



წყარო: ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია

ევროპის უმაღლესი განათლების დაფინანსების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო დაფინანსებას ავსებს სხვა მექანიზმები. თანხების კონკურენტული განაწილება არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება დაფინანსების პროცესში. კონკურენტული დაფინანსება ხშირად ასოცირდება კვლევებთან. თუმცა, სხვა ფინანსური რესურსებიც, ასევე, შეიძლება გაიცეს კონკურენტიაზე დაფუძნებით, მაგალითად, სახსრები ინფრასტრუქტურის განახლებისთვის, სტრატეგიული რეფორმებისთვის და ა.შ. გარდა ამისა, მიზნობრივი დაფინანსება შეიძლება გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისებისთვის, ერთჯერადად ან გარკვეული პე-

რიოდის განმავლობაში (მაგალითად, საუნივერსიტეტო ალიანსების განვითარების მხარდასაჭერად). მიზნობრივი დაფინანსება განსხვავდება კონკურენტული დაფინანსებისგან, რადგან ის არ არის შერჩევითი ხასიათის და ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

გარდა ამ ინსტრუმენტებისა, არსებობს შერჩევითი დაფინანსების მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს დაწესებულებების ნაწილის უზრუნველყოფას კონკრეტული მხარდაჭერით. ამ მექანიზმებს უფრო ზოგადი მიზანი აქვთ.

დაფინანსების მოდელის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის ხარჯების დაფარვა, თუმცა, ის შეიძლება სხვა მიზნებსაც მოიცავდეს, როგორცაა: რესურსების განაწილების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მართვის ეფექტიანობის ზრდა განსაზღვრული პოლიტიკის ამოცანების შესრულებისთვის, ძირითადი სტრატეგიის თანახმად სასურველად მიჩნეული გარკვეული ქცევის ნახალისება, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მთავრობის დიალოგის ხელშეწყობა და სხვა.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ ტერმინი „დაფინანსების ფორმულა“ შემდეგნაირად განიმარტება: „დაფინანსების ფორმულა არის მათემატიკური ფორმულის გამოყენებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ისეთ ცვლადებს, რომლებიც დაფუძნებულია ინდიკატორებზე, როგორცაა სტუდენტების რაოდენობა და ა.შ.“


მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ფორმულის ცვლადები ჩვეულებრივ ეხება წარსულის გამოცდილებას, ისინი, ასევე, შეიძლება გამოისახოს სამომავლო მიზნების სახით. მაგალითად, მომავალი სასწავლო წლისთვის სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით არსებული გათვლები (მაგალითად, შოტლანდია). ზოგიერთ შემთხვევაში, დაფინანსების მთლიანი მოდელი წარმოდგენილია ფორმულის სახით, სადაც თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია შესაბამისი წილი.

უნივერსიტეტებზე გასაცემი ბლოკ გრანტის დასადგენად იყენებენ მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება დადგენილი იყოს უნივერსიტეტის ყველა ძირითადი საქმიანობისთვის, ან მხოლოდ სწავლებისთვის (teaching), ან მხოლოდ კვლევისთვის (research). ევროპის ქვეყნების უმრავლესობა იყენებს რამდენიმე ინსტრუმენტის ერთობლიობას მათი ბლოკ-გრანტის დაფინანსების განაწილებისას. ისინი აერთიანებენ ფორმულის მაჩვენებლებს, კონტრაქტებზე და/ან შეთანხმებაზე და ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ განაწილებას. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ პოლონეთის შემთხვევა, სადაც 2024 წლიდან დაფინანსების ფორმულა განსაზღვრულია გრანტის მთლიანი თანხის 75%-ით, ხოლო დანარჩენი განსაზღვრება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კორექტირებისა და ინდექსაციის მექანიზმების გამოყენებით. ფორმულა ითვალისწინებს შიდა საუნივერსიტეტო ინდიკატორებს (სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა), ასევე გარე ინდიკატორებს (კვლევითი აქტივობის სტატისტიკა), რამაც წლების განმავლობაში დიდი გავლენა იქონია კვლევების შეფასებასა და მათ ინტერნაციონალიზაციაზე. 2019 წლიდან პოლონეთმა, ასევე, გამოიყენა ახალი მოდელი ე.წ. საუკეთესო ინიციატივები, (Excellence Initiatives), რომლისთვისაც შეიქმნა ათი უნივერსიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მექანიზმის მიუხედავად, ხელისუფლებასა და სექტორის წარმომადგენლებს შორის არსებობს მჭიდრო კომუნიკაციის პრაქტიკა.

საინტერესოა **რუმინეთის** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსების მოდელიც. რუმინეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას ძირითადად განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს სამინისტროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული ინსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე. კონტრაქტი მოიცავს ინსტიტუციურ დაფინანსებას, სადაც თავმოყრილია ძირითადი დაფინანსება, დამატებითი დაფინანსება (ინსტიტუციური განვითარების ფონდის დაფინანსება 2016 წლიდან), განსაკუთრებული სიტუაციების დაფინანსება და 2021 წლიდან კვლევების ფორმულაზე

დაფუძნებული დაფინანსება. ხელშეკრულება ასევე მოიცავს სტუდენტების სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პუნქტსაც. საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითადი დაფინანსება გამოიყოფა სტუდენტების რაოდენობაზე გათვლილი სასწავლო გრანტებით, რომლებიც დამოკიდებულია სასწავლო მიმართულებაზე, დარგზე, სასწავლო პროგრამასა და სწავლების ენაზე. უმაღლესი განათლების დაფინანსების კუთხით, ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო დამატებითი დაფინანსება. დამატებითი დაფინანსება გამოიყოფა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე, სასწავლო პროგრამების წარმატების სტიმულირებისთვის. უმაღლესი განათლების დაფინანსების ეროვნული საბჭოს (CNFIS) მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და ხარისხის სტანდარტების გათვალისწინებით ის შეადგენს საბაზისო დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხის მინიმუმ 30%-ს. სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის დამატებითი დაფინანსების მექანიზმი, რომელიც 2016 წლიდან დაიწერა, იყოფა ოთხ კლასად, კერძოდ, სწავლა და სწავლება (Learning and Teaching), სამეცნიერო კვლევა/მხატვრული შემოქმედება/სპორტული წარმოდგენა (scientific research/artistic creation/sports performance), საერთაშორისო პერსპექტივა (international Outlook), რეგიონული ორიენტაცია და სოციალური თანასწორობა (regional orientation focus & social equity). ინდიკატორები და მათი წონა წლიდან წლამდე იცვლება. ინსტიტუციური განვითარების ფონდის კონკურსში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ წარადგინონ პროექტები ერთ ან რამდენიმე თემაზე: ახალი სასწავლო პროგრამების ხელშეწყობა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, სასწავლო და სწავლების პროცესების გაუმჯობესება, კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება, სოციალური ინკლუზია, ინტერნაციონალიზაცია და სხვა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე, შეუძლიათ დადონ დამატებითი ხელშეკრულება სამინისტროსთან კაპიტალური ხარჯებისა და რემონტის დაფინანსების, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების, სტუდენტთა საცხოვრებლისა და კვების სუბსიდირების მიზნით.

ფინეთის მოქალაქე არსებული დაფინანსების ფორმულა (2022 წელი)



წყარო: ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია

ევროსტატის 2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით, **ფინეთში** სკოლის დასრულების შემდეგ დაახლოებით 66% აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროკავშირში. თუმცა, ფინეთი ხარჯავს დაახლოებით 30%-ით ნაკლებს ერთ სტუდენტზე, ვიდრე აშშ.

ფინეთის პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი განათლების ძირითადი დაფინანსების საერთო ოდენობის შესახებ, ხოლო განათლებისა და კულტურის სამინისტრო გადაანაწილებს მას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ ფართო ავტონომია თავიანთ საქმიანობაში და მათ აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები დაწესებულების შიდა ადმინისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის ხდება ოთხნობიანი შეთანხმება. ამ მოლაპარაკებების დროს ინსტიტუტები და სამინისტრო შეთანხმდებიან მიზნებზე, ძირითად მაჩვენებლებზე, ამოცანებსა და დაწესებულების პროფილზე. განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ყოველწლიურად ადევნებს თვალს დანესებულებების მუშაობის სტატისტიკურ მონაცემებს. ფინეთის მოდელი ემყარება დაფინანსების ფორმულას, რომელიც იყოფა ძირითადად განათლებასა (42%) და კვლევას (34%) შორის. ორივე ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს შესრულებაზე დაფუძნებულად, რადგან მოიცავს მომავალთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. ორივე მაჩვენებელი მჭიდროდ უკავშირდება დანესებულებების ხარჯების სტრუქტურას. განათლების სხვა ინდიკატორები მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და მათ განვითარებაზე თვალყურის დევნებას, სტუდენტების გამომხაურებას და უწყვეტ სწავლას. უნივერსიტეტების დაფინანსების დარჩენილი ნაწილი (24%) ნაწილდება სტრატეგიების საფუძველზე. გარდა ამისა, დაფინანსების „სტრატეგიული განვითარების“ კომპონენტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტების ეროვნული ამოცანები და ვალდებულებები. აღნიშნული მოდელი მოქმედებს 2021 წლიდან. წინა მოდელთან შედარებით, რომელიც გამოიყენებოდა 2017-2020 წლებში, განათლების კომპონენტი გაიზარდა (39%-დან 42%-მდე), ხოლო კვლევის კომპონენტი თითქმის იდენტური დარჩა (33%-დან 34%-მდე), შემცირდა სტრატეგიული ნაწილი (28%-დან 24%-მდე). ფინეთის უნივერსიტეტების ასოციაციის (UNIFI) თანახმად, მოდელის გაუმჯობესება ეყრდნობა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის, დასაქმების და კონკურენტული დაფინანსების, ინტერნაციონალიზაციის, ასევე, საუნივერსიტეტო გამოცემებისთვის სტიმულის შექმნას. დამოუკიდებელი მოდელი არსებობს გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებებისათვის, სადაც ბაკალავრის ხარისხის მაჩვენებელი ძირითადი დაფინანსების 56%-ს შეადგენს. იგი უფრო შეზღუდულ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევის ინდიკატორებს (19%).

ფინეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში სწავლა უფასოა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ყველა მოქალაქისთვის. საუნივერსიტეტო სექტორში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტები ყოველწლიურად იხდიან მცირე სანევრო გადასახადს, როგორც წესი, დაახლოებით 50 ევროს, სტუდენტურ კავშირში გასაწევრიანებლად. სანაცვლოდ ისინი შელა-

ვატიან ფასად იღებენ კვებას, ჯანდაცვისა და სხვა სოციალურ მომსახურებებს. სტუდენტურ კავშირში განვერიანება არჩევითია ასპირანტურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის და გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულების სტუდენტებისთვის.

განათლებისა და კულტურის სამინისტროს წინადადებით, სტუდენტთა ფინანსური დახმარებისთვის 2023 წლის ბიუჯეტში გამოიყო 749 მილიონი ევრო, რაც 46 მილიონი ევროთი მეტია 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით. სტუდენტური ფინანსური დახმარება შედგება სასწავლო გრანტისა და სტუდენტური სესხისგან. აღნიშნული პროგრამის მიზანია სწავლის პერიოდში სტუდენტებისათვის საარსებო მინიმუმის გარანტიის შექმნა. სტუდენტური ფინანსური დახმარება არის სრულ განაკვეთზე სწავლისთვის გათვალისწინებული. ბენეფიციარებმა უნივერსიტეტში უნდა აჩვენონ დადებითი შედეგები, მათ უნდა გაიარონ საშუალოდ არანაკლებ 5 კრედიტისა (ფინანსური დახმარების ყოველ თვეზე გაანგარიშებით) და არანაკლებ 20 კრედიტი ყოველ სასწავლო წელს. სტუდენტური ფინანსური დახმარება (გრანტი და სესხი) ხელმისაწვდომია 48-57 თვის განმავლობაში (დამოკიდებულია მიმდინარე სწავლების საფეხურზე). სასწავლო გრანტის ოდენობა თვეში შეადგენს დაახლოებით 254 ევროს, სტუდენტური სესხის ოდენობა კი დაახლოებით 650 ევროს (2022/23 წლების მონაცემების თანახმად). შესაძლებელია სასწავლო გრანტის გაერთიანება სტუდენტურ სესხთან. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტური სესხი არის სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხი, რომელიც უნდა დაბრუნდეს. მას შემდეგ, რაც სტუდენტს მიენიჭება სამთავრობო გრანტია სტუდენტური სესხისთვის, მას შეუძლია მიმართოს სესხის მისაღებად მის მიერ არჩეულ ბანკს. სესხის უზრუნველყოფისათვის დამატებითი გირაო ან სხვა სახის დადასტურება არ არის საჭირო. სტუდენტები სესხის გადახდას იწყებენ სწავლის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ 2021/22 წლებში პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტების დაახლოებით 62%-მა მიიღო სასწავლო გრანტი, ხოლო 44%-მა აიღო სტუდენტური სესხი. საერთაშორისო სტუდენტის შემთხვევაშიც შესაძლებელია სასწავლო გრანტისა და სტუდენტური სესხის აღება. გარდა სასწავლო გრანტისა და სტუდენტური სესხისა,

სტუდენტების უმეტესობას აქვს საბინაო/საცხოვრებლის შემწეობის მიღების უფლება. საბინაო შემწეობის ოდენობა დამოკიდებულია ოჯახის ყველა წევრის შემოსავალსა და საცხოვრებლის ხარჯებზე. სტუდენტებს ასევე აქვთ სუბსიდირებული სტუდენტური კვება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სტუდენტთა ჯანდაცვის სერვისები.

ესტონეთში განათლების სახელმწიფო დაფინანსება მიზნად ისახავს სწავლის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ყველა ქმედუნარიანი და მოტივირებული სტუდენტისთვის. 2021-2022 სასწავლო წელს 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებდა სწავლებას, საიდანაც 6 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, 1 კერძო უნივერსიტეტი, 7 სახელმწიფო პროფესიული უმაღლესი სასწავლებელი და 5 კერძო პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება უნივერსიტეტები და პროფესიული სასწავლებლები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ფინანსდება სწავლების, ადმინისტრაციული ხარჯების, ინვესტიციებისა და საოპერაციო ხარჯებისთვის აუცილებელი ფულადი საშუალებებით. ამასთანავე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტებში შედის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, შიდა და გარე მხარდაჭერით მიღებული რესურსები. 2009–2020 წლებში ესტონეთის მთავრობის დანახარჯები განათლებაზე იყო მშპ-ს 5.6% (2014 და 2006 წლებში), 7.2% (2009 წელს), ხოლო 6.4% 2020 წელს. 2021 წლის ბიუჯეტის მიხედვით, განათლებაზე დანახარჯები 2020 წელთან შედარებით 6,2%-ით გაიზარდა (ბიუჯეტის მიხედვით, 2021 წელს, სამთავრობო სექტორის განათლების წამური ხარჯები 1 877 მლნ ევროს შეადგენს). (ელ.რესურსი: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/estonia/funding-education>).

2013-2014 წლებში განხორციელდა უმაღლესი განათლების რეფორმა, რომლის თანახმადაც ყველა აბიტურიენტს აქვს საშუალება უფასოდ მიიღოს უმაღლესი განათლება. ამავ რეფორმით განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემის ცვლილებები, რომლებმაც უფრო მკაფიოდ დააკავ-

შირა განათლების ხარისხი და ეფექტიანობა საზოგადოების საჭიროებებს. ამ მიზნით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება სამოქმედო გეგმების გადახედვა და საჭირო ცვლილებების ასახვა. ხელშეკრულებების შესრულებაზე ხდება ყოველწლიური მონიტორინგი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს საქმიანობის სფეროების დაზუსტება და შემცირდეს არაგონივრული დუბლირებული ხარჯები. შესრულების ხელშეკრულებები უზრუნველყოფს უნივერსიტეტების ფინანსურ ავტონომიას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობას ბიუჯეტის მომზადებაში. საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ ფართო ავტონომია თავიანთი სახსრების, პერსონალის, მათ საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მცირე რაოდენობით ფინანსდება ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტიდან. ამასთანავე, უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ მიიღონ შემოსწორულობები, გრანტები და ა.შ., ასევე დაფინანსება მესამე პირებისგან (მენარმეები, კურსდამთავრებულები და ა.შ.).

ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პროფესიულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა უფასოა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ესტონურ ენაზე და სასწავლო გეგმით განსაზღვრული კურიკულუმით. აღნიშნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სემესტრში უნდა აითვისონ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში 60. ამრიგად, მეორე სემესტრიდან სწავლის ხარჯების ანაზღაურება დამოკიდებულია სასწავლო გეგმის შესრულების მაჩვენებელზე. ესტონეთის მთავრობის მიერ დადგენილია ღირებულების ზედა ზღვარი, რომელიც თითო კრედიტზე არის გაანგარიშებული. ამის საფუძველზე უნივერსიტეტები ადგენენ ტარიფებს, საშუალოდ 50 ევრო ერთ კრედიტზე (განსხვავებულია სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით, მაგალითად, 2022 წლის მონაცემებით, ხელოვნების, სამედიცინო, სტომატოლოგიის, ვეტერინარიის სფეროში – 100 ევრო, მფრინავის მომზადების პროგრამაზე – 120 ევრო). იმ სტუდენტებს, რომლებიც სრულად ვერ/არ ითვისებენ კრედიტებს ან ესტონურის გარდა სხვა ენაზე სწავლობენ, უნივერსიტეტმა შეიძლება დამატებით დაუწესოს გადასახადი. (ელ. რესურსი: <https://haka.ee/wp-content/uploads/HESystem2022.pdf>).

ზოგადად, სახელმწიფო კერძო უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობას არ უწევს მხარდაჭერას. შესაბამისად, კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტები სწავლის საფასურს თავად იხდიან. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისუფალი სასწავლო სერვისების მოცულობის დადგენაშიც.

აღსანიშნავია, რომ ესტონეთში მოქმედებს სტუდენტთა ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რომლის თანახმადაც ესტონეთის მოქალაქეებს (მუდმივად მცხოვრებ რეზიდენტებს) შეუძლიათ დასაბეგრ შემოსავლებს გამოაკლონ სასწავლო ხარჯებისათვის საჭირო თანხები. ამასთანავე, თუ სტუდენტს თავად არ აქვს შემოსავალი და არის 26 წლამდე, მაშინ მათ მშობლებს შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული შეღავათის სისტემით.

2022 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელდა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების რეფორმა, რომლის თანახმადაც დოქტორანტი უნივერსიტეტში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დასაქმდეს კვლევით დაწესებულებაში, რომლის პროფილიც ემთხვევა სადისერტაციო თემას.

ესტონეთის მთავრობა სახელმწიფო პროგრამების დახმარებით ხელს უწყობს სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მობილობას. მაგალითად, სასტიპენდიო პროგრამა Kristjan Jaak¹ მიზნად ისახავს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლისა და კვლევების მხარდაჭერას. პროგრამა DoRa Pluss² მხარს უჭერს პერსონალის მობილობას, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სწავლასა და კვლევას უცხოურ უნივერსიტეტებში, მათ მონაწილეობას საერთაშორისო პროფესიულ კონფერენციებში, სემინარებსა თუ სასწავლო კურსებში. (ელ.რესურსი: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/estonia/higher-education-funding>).

¹ <https://harno.ee/en/scholarships-and-grants/scholarships-studying-and-working-abroad/kristjan-jaak-scholarships>

² <https://harno.ee/dora-pluss-programm>

იაპონია განათლებაზე ხარჯავს მთლიანი ეროვნული შემოსავლის 20%-სა და მშპ- 3.42%-ს. განათლების სისტემა ფინანსდება ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური მთავრობის ერთობლივი მხარდაჭერით. ასევე, იაპონიაში აქტიურად ხდება განათლების სისტემის დაფინანსება დონაციების საშუალებით ბიზნესისა და კერძო კომპანიების მხრიდან.

შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის განათლების სისტემა ქმნის ყველაზე თანაბარ გარემოს სწავლებისთვის სხვადასხვა ეკონომიკურ-სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, იაპონიაში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მხოლოდ 9% არის დაკავშირებული მისი მოსწავლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებთან. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ევროპაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 14%-ია, ხოლო აშშ-ში – 17%. ასევე ძალიან მცირეა იმ მოსწავლეების რიცხვი, რომლებმაც სკოლა მიატოვეს. სკოლას წარმატებით ასრულებს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 97%.

იაპონიაში უნივერსიტეტები ძირითად დამოკიდებული არიან საკუთარ შემოსავლებზე. აღნიშნული ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო უნივერსიტეტებზე. იაპონია წარმოდგენილია 86 სახელმწიფო და 500-ზე მეტი კერძო უნივერსიტეტით. ჯამურად მოცემულ უნივერსიტეტებში სწავლობს 2,8 მილიონი სტუდენტი.

უნივერსიტეტები სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ ძირითადად 5 გზით:

1. საოპერაციო გრანტები – განათლების, კულტურის, სპორტისა და ტექნოლოგიების სამინისტროსგან მიღებული პირდაპირი დაფინანსება;
2. სუბსიდიები კაპიტალური მშენებლობებისთვის;
3. კვლევითი გრანტები;
4. სუბსიდიები მიმდინარე ხარჯების დასაფარად კერძო უნივერსიტეტებში;
5. სტუდენტთა დახმარების პროგრამები.

იაპონიაში უმაღლესი განათლების საშუალო ღირებულება ერთ სტუდენტზე შეადგენს 12 326 დოლარს, რაც ევროპის, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის იგივე მაჩვენებელს უტოლდება და აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს.

ყველაზე დიდი საჯარო დაფინანსება, რომელსაც იაპონიის უნივერსიტეტები იღებენ, არის ოპერაციული გრანტები, რომლებიც ფარავს პერსონალის და ინფრასტრუქტურის შენარჩუნების ხარჯებს. ოპერაციული გრანტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფორმულაზე დაფუძნებული გრანტი. ფორმულა ითვალისწინებს უნივერსიტეტების ისეთ ინდიკატორებს, როგორებიც არის სტუდენტთა რაოდენობა, შენობის ზომა, ფაკულტეტის წარმომადგენელთა რაოდენობა და ა.შ. ასევე, ოპერაციული გრანტები აქტიურად გამოიყენება კვლევების დასაფინანსებლად. ოპერაციული გრანტის დაახლოებით 16% იხარჯება კვლევების მიმართულებით. გარდა ამისა, იაპონიაში აქტიურად მოქმედებებს საგრანტო პროგრამები კვლევების დაფინანსების მიმართულებით, რაც უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობაა.

არსებული მდგომარეობით უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსების სისტემა შეიძლება აღინეროს, როგორც გადასვლა ინსტიტუციონალური დაფინანსებიდან ინდივიდუალურ დაფინანსებაზე, ზოგადი დაფინანსებიდან პროექტზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე. როგორც ვხედავთ, იცვლება დაფინანსების მიზნები მისი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტებს უწევთ კონკურენციაში შესვლა, რათა მიიღონ დაფინანსება. აღნიშნულისთვის მათ უნდა წარმოაჩინონ გრანტის საჭიროება, წარმოადგინონ მიზნობრივი პროექტები და ღონისძიებები სათანადო დასაბუთებით. აღნიშნული წარმოქმნის უნივერსიტეტების ორ ჯგუფს: უნივერსიტეტები, რომელთაც შეძლეს დამატებითი რესურსების მიღება ამ გზით და უნივერსიტეტები, რომელთაც ვერ შეძლეს მოცემული გრანტების მიღება. ეს წარმოადგენს გრანტის გაცემის სავსებით ლოგიკურ და ბუნებრივ შედეგს და მიზნად ისახავს,

ერთის მხრივ, კონკურენციის გაუმჯობესებას, ხოლო მეორეს მხრივ, მოტივაციის გაზრდას უნივერსიტეტებში, განახორციელონ შედეგიანი ღონისძიებები. ასევე, გაიზარდა სწავლის გადასახადისა და გრანტების ოდენობები, რაც იძლევა სწავლების ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას. აღნიშნული მიზნად ისახავს უნივერსიტეტებში იმ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას, რომელთა მთავარი მიზანი სწავლა არ არის და წარმოქმნის არამიზნობრივ ფინანსურ ხარჯებს ოჯახისთვის.

გასულ წელს იაპონიის მთავრობამ გამოყო 70 მილიონი დოლარი, სპეციალურად იმ უნივერსიტეტებისთვის, რომელთა მთავარი მიმართულებაა კვლევების დაგეგმვა-განხორციელება და რომელთაც სურთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე აღიარების მოპოვების მიზნით. ასევე, გაიზარდა სტუდენტთა დახმარების პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების შვილების სწავლის ხელშეწყობას. გამოიყო შემოსავლის 4 დონე და თითოეულ დონეზე განისაზღვრა შესაბამისი დაფინანსებისა და გრანტის მოცულობები. სამინისტრო ქმნის პროგრამას, რომელიც მაგისტრატურის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გადაიხადოს სწავლის გადასახადი უნივერსიტეტის დასრულებისა და 20 000 დოლარის ოდენობით ან უფრო მეტით წლიური შემოსავლის მიღების შემდეგ. ხოლო თუ სტუდენტს ეყოლება შვილები, ეს დონე იზრდება 30 000 დოლარამდე. (ელ. რესურსი: <https://www.researchgate.net/publication/362218899-Financing-of-Higher-Education-between-Private-and-Public-sector-role-Japan-as-case-of-study>).

საფრანგეთს აქვს უმაღლესი განათლების უძველესი ტრადიცია, რომელიც თარიღდება შუა საუკუნეებიდან, როდესაც დაარსდა პარიზის უნივერსიტეტი – სორბონი. დღეს ქვეყანა ამყობს მაღალი დონის, ძლიერი უმაღლესი განათლების სისტემითა და მრავალი საჯარო და კერძო ინსტიტუტებით. საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების მოდელი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სახელმწიფო დაფინანსების, სწავლის საფასურისა და შემოსავლის

სხვა წყაროების ერთობლიობას. საფრანგეთის მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერასა და სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

საფრანგეთს აქვს როგორც უნივერსიტეტები, ასევე, სპეციალიზებული, ე.წ. დიდი სკოლები (*grandes écoles*). უნივერსიტეტები არის საჯარო დაწესებულებები, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ სპეციალობების ფართო სპექტრს, ხოლო დიდი სკოლები უფრო სპეციალიზებული და პრესტიჟული ინსტიტუტებია, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტულ სფეროებზე, როგორცაა ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა.

უნივერსიტეტები და დიდი სკოლები დაფინანსების დიდ ნაწილს სახელმწიფოსგან იღებენ. საფრანგეთის უმაღლესი განათლების, კვლევისა და ინოვაციების სამინისტრო (*Ministère de l'Enseignement Supérieur, de la Recherche et de l'Innovation – MESRI*) გადამწყვეტ როლს ასრულებს უნივერსიტეტებისა და დიდი სკოლებისთვის სახსრების განაწილებაში.

მთავრობის კონტრიბუცია საერთო დაფინანსებაში ფარავს ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შორის პერსონალის ანაზღაურებას, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასა და კვლევით საქმიანობას. სახელმწიფო დაფინანსება უზრუნველყოფს იმას, რომ სწავლის საფასური ადგილობრივი და ევროკავშირის ქვეყნების სტუდენტებისთვის დარჩეს შედარებით დაბალი. ამ შემთხვევაში საფასური დადგენილია მთავრობის მიერ და როგორც წესი, ერთნაირია უნივერსიტეტებში. თუმცა, სწავლის საფასური შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის დონისა და პროგრამის მიხედვით. მაგალითად, საინჟინრო და მედიცინის პროგრამებს შეიძლება ჰქონდეთ უფრო მაღალი საფასური გამომდინარე სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მრავალფეროვანი რესურსებიდან. ადგილობრივი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტუდენტებისთვის საბაკალავრო საფეხურზე სწავლების გადასახადი დაახლოებით 600 ევროა, კერძო უნივერსიტეტებში იგი იზრდება 5 000–30 000 ევრომდე. უცხოელი სტუდენტებისთვის სა-

ბაკალავრო საფეხურზე სწავლების საფასური შეადგენს 2700–3700 ევროს, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე 3700–4700 ევროს. სადოქტორო პროგრამებზე გადასახადი ძალიან მცირეა და ხშირ შემთხვევაში სწავლა სრულიად უფასოა. ასევე, სტუდენტები იღებენ სტიპენდიას, რათა დაფარონ საცხოვრებელი და სხვა ხარჯები.

დამატებითი დაფინანსებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით დიდი სკოლებისა და კერძო უნივერსიტეტებისთვის. აღნიშნულში იგულისხმება კერძო შემოწირულობები, სტიპენდიები, კორპორატიული პარტნიორები, ევროკავშირის გრანტები და პროექტები, საკონსულტაციო სერვისები და კვლევითი პროექტები, დამატებითი ტრენინგები და პროგრამები, ლიცენზიები და ინტელექტუალური საკუთრება. დაფინანსების ეს წყარო სასწავლებლებისთვის აკადემიური სტანდარტების შენარჩუნების გზაა, რათა ინვესტიციები ჩადონ კვლევაში და უზრუნველყონ სპეციალიზებული პროგრამები და სერვისები.

საფრანგეთი დიდ აქცენტს აკეთებს კვლევებსა და ინოვაციებზე. საფრანგეთის მთავრობა გამოყოფს მნიშვნელოვან დაფინანსებას უმაღლეს სასწავლებლებში კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. ეს დაფინანსება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს, განახორციელონ უახლესი კვლევები სხვადასხვა სფეროში, ხელი შეუწყონ პროგრესსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (Centre National de la Recherche Scientifique – CNRS) და ეროვნული კვლევის სააგენტო (Agence Nationale de la Recherche – ANR) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსებაში.

საფრანგეთის მთავრობა და ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის სტიპენდიისა და გრანტის გაცემას ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების მხარდასაჭერად. ფინანსური დახმარების ეს პროგრამები მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტუდენტებისთვის.

სტიპენდიები შესაძლებლობას იძლევა, დაიფაროს სწავლის სა-

ფასური, ცხოვრების ხარჯები და იგი ხელმისაწვდომია სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტებსა და დიდ სკოლებს აქვთ საკუთარი სტიპენდიებიც.

საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამებს. არსებობს სტუდენტთა საცხოვრებელი, უფასო სამედიცინო მომსახურებითა და დასაქმების შესაძლებლობებით უზრუნველყოფის პროგრამები. ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მრავალფეროვან კულტურულ, კარიერული განვითარებისა და სპორტულ ღონისძიებებში. მხარდაჭერის სერვისები ხელს უწყობს სტუდენტების კეთილდღეობასა და აკადემიურ მიღწევებს, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყურადღება გაამახვილონ სწავლაზე და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი დრო უნივერსიტეტში. საფრანგეთის სტუდენტთა სოციალური მომსახურების ეროვნული ცენტრის (CNOUS) მონაცემების მიხედვით, 2020 წელს 226 000 სტუდენტმა მიიღო ფინანსური დახმარება საცხოვრებლისთვის Caisse d'Allocations Familiales (CAF) პროგრამის მეშვეობით, რომლის საერთო ბიუჯეტმა 6 მილიონ ევრო შეადგინა.

საფრანგეთში დაფინანსების მოდელი გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყანაში უმაღლესი განათლების საერთო ხარისხის უზრუნველყოფაში. სახელმწიფო დაფინანსება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებსა და დიდ სკოლებს შეინარჩუნონ განათლებისა და კვლევების მაღალი დონე, მოიზიდონ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტები. მთავრობის ფოკუსირება კვლევების დაფინანსებაზე ხელს უწყობს ინოვაციებსა და ახალი ცოდნის შექმნას. უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და რესურსების გაერთიანებას.

ამრიგად, საფრანგეთის უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი ხასიათდება სახელმწიფო დაფინანსების დიდი წილით, ხელმისაწვდომი სწავლის საფასურით, მაღალი სტიპენდიებითა და სტუდენტთა დახმარების პროგრამებით. ეს ელემენტები ერთობლივად ქმნის უმაღლესი განათლების ინკლუზიურ და მრავალფეროვან სისტემას.

გერმანიაში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებას ქვეყნის განათლების სისტემაში გადამწყვეტი როლი აკისრია. გერ-

მანია ცნობილია თავისი ძირითადი ვალდებულებით, უზრუნველყოს ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება თავისი მოქალაქეებისთვის და საერთაშორისო სტუდენტებისთვის. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი არის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სტუდენტებისთვის ფინანსური ბარიერების შემცირება და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. 2022 წლის მონაცემებით გერმანიას ჰქონდა სულ 423 სახელმწიფო მიერ აღიარებული უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც შემდეგი ტიპისაა: უნივერსიტეტები და მასთან გათანაბრებული უმაღლესი სასწავლებლები (მასწავლებელთა მომზადების კოლეჯები, სასულიერო კოლეჯები და სხვ.), ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯები და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტები და კოლეჯები (ელ. რესურსი: <https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Institutions-Higher-Education/Tables/type-institution.html>).

გერმანია ცნობილია სწავლების დუალური სისტემის არსებობით, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლები ქმნიან ადგილებს შეგირდებისთვის და თავადვე ფარავენ მათ გადამზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გარდა ამისა, ის მოიცავს ზოგიერთი მიწის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ან სახელმწიფო მიერ აღიარებულ პროფესიულ აკადემიებს. მაგალითად, ბაიერნში არის ტექნიკური სასწავლებლები. ისინი სტუდენტებს სთავაზობენ უწყვეტ პროფესიულ განათლებას. განსაკუთრებულ როლს ასრულებს 30 ადმინისტრაციული კოლეჯი, ტექნიკური სასწავლებლები საჯარო ადმინისტრაციისთვის, რომლებიც ამზადებენ საჯარო მოხელეებს. მათ აფინანსებს ფედერაცია ან მიწა. მათ სტუდენტებს აქვთ საჯარო მოხელის სტატუსი (ელ.რესურსი: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/germany/higher-education>).

გერმანელები აფინანსებენ არა მხოლოდ ეკონომიკურად მომგებიან მიმართულებებს, არამედ ყველას. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა უფასოა, როგორც, მაგალითად, ისტორიკოსებისთვის, ისე ინჟინრებისთვის. გერმანიაში სახელმწიფო განსაზღვრავს სახელმწიფო უნივერსიტეტებში ადგილების რაოდენობას მიმართულებების მიხედვით. (ელ. რესურსი:

<https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Institutions-Higher-Education/Tables/total-area-study-winter-term.html>).

საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა იმართება სახელმწიფოს მიერ და ისინი თავიანთი სახსრების დიდ ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტებიდან იღებენ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური და ადმინისტრაციული იერარქია შედგება სამი დონისგან: ფედერაცია; მიწა (Länder) და ადგილობრივი ხელისუფლება (Kommunen) ანუ რაიონები, რაიონის სტატუსის მქონე და რაიონების შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტები. განათლების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება სამივე დონეზე, მაგრამ სახელმწიფო დანახარჯების დაახლოებით 90%-ს ახორციელებენ მიწები და ადგილობრივი ხელისუფლება. გერმანიის 16 ფედერალური მიწისგან (Bundesländer) თითოეული პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და დაფინანსებაზე. (ელ. რესურსი: <https://www.kmk.org/fileadmin/Dateien/pdf/Eurydice/Bildungswesen-engl-pdfs/funding.pdf>).

მიწები ანაწილებენ ბიუჯეტებს უნივერსიტეტებისთვის ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა სტუდენტების რაოდენობა, კვლევის შედეგები და ამოცანების შესრულების ინდიკატორები. საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, აფინანსებენ მიწები (Länder), რომლებიც, თავის მხრივ, დასახული ამოცანების შესასრულებლად საჭირო სახსრებს განათლებისა და კულტურის საქმეთა სამინისტროს (Ministry of Education and Cultural Affairs) ან მეცნიერებისა და კვლევის სამინისტროს (Ministry of Science and Research) ბიუჯეტიდან იღებენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია (Gemeinsame Wissenschaftskonferenz – GWK), სადაც ფედერალური მთავრობისა და სახელმწიფოების წარმომადგენლები კოორდინაციას უწევენ სახსრების გამოყოფას და განიხილავენ უმაღლესი განათლების პოლიტიკას. დაფინანსების პროცედურა, როგორც წესი, მოიცავს პასუხისმგებელ სამინისტროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციის რამდენიმე ეტაპს. უპირველეს

ყოვლისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხარჯთაღრიცხვის წარდგენით ატყობინებს მინის ხელისუფლებას მისი ფინანსური მოთხოვნის შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება მინის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს ბიუჯეტში. შემდეგ წლიურ ბიუჯეტს ადგენენ, ათანხმებენ სხვა სამინისტროებთან, წინადადების სახით წარუდგენენ მთავრობას, რომელიც თავის მხრივ დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს. თანხები ხელმისაწვდომი ხდება მას შემდეგ, რაც პარლამენტი განიხილავს ბიუჯეტს და მიიღებს მას. მინა ანაწილებს, ხარჯავს და ზედამხედველობს თანხების განკარგვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთ მინაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებისა და დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია მინასა და მის უმაღლეს სასწავლებლებს შორის რამდენიმე წლის ვადით. ეს ხელშეკრულებები განსაზღვრავენ მინის მიზნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულ განვითარებას, გაფართოების გეგმებს, სტრატეგიული განვითარების მიზნებს და სხვა. მინის მიერ მათი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ფარავს პერსონალის ანაზღაურებასა და მატერიალურ ხარჯებს, ასევე, ხარჯებს ქონებაზე, შენობებზე, სხვადასხვა აღჭურვილობაზე. ხშირად ამ თანხებს ემატება გრანტები და მესამე მხარის, ინდუსტრიის წარმომადგენლების დაფინანსება. 2021 წლის სტატისტიკის მიხედვით, საჯარო სექტორმა უმაღლეს სასწავლებლებზე 33,9 მილიარდი ევრო დახარჯა, სადაც მინის წილი იყო 29,2 მილიარდი ევრო (ხარჯების 86,2%), ხოლო ფედერაციის წილი – 4,7 მილიარდი ევრო (ხარჯების 13,8%). წინა წელთან შედარებით არის 17,1 მილიარდი ევროს ღირებულების ზრდა (დაახლოებით 5%). აღნიშნულმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 9,8%. სახელმწიფო დაფინანსების მოდელმა უნივერსიტეტებს საშუალება მისცა ფოკუსირება მოახდინონ კვლევასა და ინოვაციებზე მაღალი სწავლის საფასურის ფინანსური ზენოლის გარეშე. ამან ხელი შეუწყო გერმანიის, როგორც გლობალური ლიდერის პოზიციას სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიებში.

როგორც ვხედავთ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მი-

ნის სამინისტროების ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს. თუმცა, კვლევაში ჩართულ დაწესებულებებსა და მათ თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში, განახორციელონ ისეთი კვლევითი პროექტები, რომლებიც მესამე პირების მიერ, მაგალითად, ორგანიზაციების, ფონდების, კომპანიების მიერ ფინანსდება. 2020 წელს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ჯამში გარე დაფინანსების სახით მიიღეს დაახლოებით 8,9 მილიარდი ევრო. ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც ჩართულია უმაღლეს განათლებაში არსებული კვლევების ხელშეწყობაში, არის გერმანული კვლევის ფონდი (Deutsche Forschungsgemeinschaft – DFG). ის ხელს უწყობს კვლევით პროექტებს დამატებითი ფინანსების მოძიებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, იღებენ თანხებს კომპანიებისგან, თუ კომპანიებმა მათ სპეციფიკური კვლევითი სამუშაოები შეუკვეთეს. 2020 წელს კომერციული სექტორიდან მიღებულმა დაფინანსებამ 1,5 მილიონი ევრო შეადგინა.

ზოგიერთ მიწაში სტუდენტები იხდიან „სემესტრის შენატანს“ (Semesterbeitrag), რათა ისარგებლონ დაწესებულების სოციალური სერვისებით. სტუდენტები, ასევე, იხდიან დამატებით შენატანს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოში (General Student Committee – Allgemeiner Studierendenausschuss) (გარდა ბაიერნისა). ლტოლვილის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის, განათლებისა და კულტურის მინისტრთა მუდმივი კონფერენციის (Kultusministerkonferenz) გადაწყვეტილებით, შემცირებულია ჩარიცხვასთან დაკავშირებული ხარჯები. გადაწყვეტილება, ასევე, მოიცავს სწავლის პერიოდში გაწეული საჯარო მოსაკრებლების, შენატანებისა და გადასახადების შემცირებას.

გერმანიაში, ასევე, ფინანსდებიან ის სტუდენტები, რომლებიც იწყებენ ან აგრძელებენ სწავლას ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში ან შვეიცარიაში. საზღვარგარეთ, ევროკავშირისა და შვეიცარიის ფარგლებს გარეთ ფინანსდება ერთი სემესტრიდან ერთ წლამდე სწავლის პერიოდი. 2021 წელს 468 543 სტუდენტმა მიიღო ფინანსური დახმა-

რება ტრენინგის დახმარების ფედერალური კანონის მიხედვით. ფედერაციისა და მიწების სასწავლო დახმარების ხარჯები სტუდენტების მხარდაჭერისთვის 2,3 მილიარდ ევროზე მეტია მხოლოდ სტუდენტური სექტორისთვის. დახმარების მიმღებმა თითო სტუდენტმა საშუალოდ 579 ევრო მიიღო. (ელ.რესურსი:<https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/germany/higher-education-funding>).

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (Deutscher Akademischer Austauschdienst – DAAD) სთავაზობს გრანტებს უცხოელ სტუდენტებს და მომავალ აკადემიკოსებსა და მეცნიერებს გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ან შემდგომი განათლების შეზღუდული ხანგრძლივობის გასაგრძელებლად. DAAD-თან ერთად, ზოგიერთ მინას, ასევე, აქვს სპეციალური სახსრები უცხოელი სტუდენტებისთვის ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში დახმარების გაწევისთვის.


გარდა ამისა, გერმანული უმაღლესი სასწავლებლების ნიჭიერ და წარმატებულ სტუდენტებს მხარდაჭერა გაუწიეს სასტიპენდიო პროგრამით (Deutschlandstipendium). გრანტი თვეში 300 ევროს შეადგენს და თანაბრად იხდიან კერძო სპონსორები (კომპანიები, ფონდები, კერძო პირები) და ფედერაცია. 2021 წელს დაახლოებით 29 000 სტუდენტმა მიიღო იგი ეროვნული სტიპენდიების პროგრამის შექმნის შესახებ აქტის საფუძველზე (Gesetz zur Schaffung eines nationalen Stipendienprogramms – StipG). (ელ.რესურსი: <https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Educational-Finance-Promotion-Education-Training/Tables/germany-scholarship-subject-group.html>).

საერთაშორისო სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გაუქმების გადაწყვეტილებამ გერმანია უაღრესად მიმზიდველ სასწავლო ადგილად აქცია. შედეგად, ქვეყანაში გაიზარდა საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა, რაც აძლიერებს მის კულტურულ მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევებსა და ინოვაციებში.

2008 წლიდან ფედერალური სტატისტიკის სამსახური (Statistisches Bundesamt) განათლებისა და კვლევის ფედერალური სამი-

ნისტროს (Bundesministerium für Bildung und Forschung – BMBF) სახელით და ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციასთან (Gemeinsame Wissenschaftskonferenz – GWK) კონსულტაციით ამზადებს განათლებაზე განეული ხარჯების ყოველწლიურ ანგარიშს. ანგარიში აგროვებს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია განათლების ბიუჯეტის შესახებ. განათლების ფინანსური ანგარიში დაინტერესებულ პირებს ანვდის მონაცემებზე დაფუძნებულ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესების ჩარჩოს, შეტანის, პროგრესისა და შედეგების შესახებ.

განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს (BMBF) ბიუჯეტი



წყარო: განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტრო

ბელგიას აქვს უმაღლესი განათლების კარგად განვითარებული სისტემა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს. უმაღლესი განათლება ბელგიაში იყოფა ორ ენობრივ საზოგადოებად: ფლამანდურ საზოგადოებად (ფლანდრია) და ფრანგულენოვან საზოგადოებად (ვალონია და ბრიუსელი). ასევე, არსებობს უფრო მცირე გერმანულენოვანი საზოგადოება თავისი საგანმანათლებლო სისტემით.

ფლანდრიაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად ორგანიზებულია უნივერსიტეტებად და საუნივერსიტეტო კოლეჯებად (hogescholen). უნივერსიტეტები წარმოდგენილია

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით, ხოლო საუნივერსიტეტო კოლეჯები უზრუნველყოფენ პროფესიულ ბაკალავრის ხარისხს პრაქტიკულ განათლებასა და გამოყენებით კვლევებზე.

ფრანგულენოვან საზოგადოებას აქვს რამდენიმე უნივერსიტეტი და უმაღლესი სკოლა (უმაღლესი ინსტიტუტები). ვალონიისა და ბრიუსელის უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ აკადემიურ პროგრამებს, ხოლო უმაღლესი სკოლები (Hautes Ecoles) ფლანდრიის საუნივერსიტეტო კოლეჯების მსგავსად უზრუნველყოფს პროფესიულ ბაკალავრის ხარისხს.

გერმანულენოვან საზოგადოებას აქვს საკუთარი განათლების სისტემა, რომელიც, რა თქმა უნდა, იზიარებს ძირითად თავისებურებს. გერმანულენოვანი თემის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა ძირითადად გერმანულია. ეს ენობრივი არჩევანი ემთხვევა საზოგადოების ოფიციალურ ენას და საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ მშობლიურ ენაზე. გერმანულენოვანი საზოგადოება თანამშრომლობს მეზობელი გერმანიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფას სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

თითოეულ საზოგადოებას აქვს საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დაფინანსების მექანიზმები და პოლიტიკა.

სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერის ძირითად წყაროს. როგორც ფედერალური მთავრობა, ასევე, რეგიონალური ხელისუფლება ანაწილებს სახსრებს უნივერსიტეტებს, საუნივერსიტეტო კოლეჯებსა და უმაღლეს ინსტიტუტებს (Hautes Ecoles) შორის. ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს კონკრეტულ თემთაშორის ინიციატივებს, ხოლო რეგიონული მთავრობები უფრო მეტ კონტროლს ახორციელებენ დაფინანსების განაწილებაზე შესაბამის ენობრივ თემებში. ეს განაწილება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პოლიტიკის შესაბამისობას საზოგადოების პრიორიტეტებთან და საჭიროებებთან.

სახელმწიფო დაფინანსება უზრუნველყოფს ფინანსურ რესურსს უნივერსიტეტებისთვის შემდეგი მიმართულებებით:

- ძირითადი საოპერაციო ბიუჯეტები – ეს თანხები ფარავს უნივერსიტეტების ძირითად ოპერაციებს, მათ შორის ფაკულტეტისა და პერსონალის ხელფასებს, ობიექტების მოვლა-პატრონობასა და ადმინისტრაციულ ხარჯებს.
- კვლევა და ინოვაცია – მთავრობები გამოყოფენ თანხებს კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის, უახლესი ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის შეძენისთვის.
- სტუდენტების მხარდაჭერა – ფინანსური დახმარებისა და მხარდაჭერის პროგრამები, როგორცაა სტიპენდიები და გრანტები.
- სწავლის საფასური – სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური და ჩარიცხვის შენატანები შეადგენს უმაღლესი განათლების დაფინანსების მეორე მნიშვნელოვან ნაწილს. მთავრობა ასუბსიდირებს გადასახადებს ბელგიელი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თუმცა, ვარიაციები არსებობს პროგრამის ტიპის, ეროვნებისა და ენობრივი საზოგადოების მიხედვით. საერთაშორისო სტუდენტები მსგავსად სხვა ქვეყნებისა იხდიან უფრო მაღალ სწავლის საფასურს, ვიდრე ევროკავშირის სტუდენტები.
- კვლევითი გრანტები – კვლევა ბელგიის უმაღლესი განათლების ერთი მთავარი ღირებულებაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად ცდილობენ სხვადასხვა კვლევითი გრანტის მოპოვებას ყველა შესაძლო წყაროდან, მათ შორის სამთავრობო უწყებებიდან, კერძო ფონდებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ეს სახსრები ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

ბელგია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის კვლევით გრანტს კვლევის საჭიროებებისა და პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად:

- ძირითადი კვლევითი გრანტები – ეს გრანტები მხარს უჭერს ფუნდამენტურ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერული პრი-

ნციპების გაგებას. საბაზისო კვლევითი გრანტების ფარგლებში ძირითად იკვლევენ სიახლეებს, თეორიულ ასპექტებს და საფუძველს უყრიან მომავალ გამოყენებით კვლევებს;

- გამოყენებითი კვლევის გრანტები – ისინი ფოკუსირებულია კონკრეტული რეალური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავებაზე. ეს პროექტები მიზნად ისახავს მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც სარგებელს მოუტანს საზოგადოებას;
- ერთობლივი კვლევითი გრანტები – ისინი ხელს უწყობს პარტნიორობას კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს ან ინტერდისციპლინარულ გუნდებს შორის. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას, ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებასა და რესურსების გაზიარებას.

რაც შეეხება საერთაშორისო კვლევით გრანტებს, ბელგია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო დაფინანსების პროგრამებში, როგორცაა ევროკავშირის Horizon Europe ფარგლებში შემოთავაზებული პროგრამები. საერთაშორისო კვლევის გრანტები ხელს უწყობს თანამშრომლობას კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა ქვეყნების მკვლევრებთან, აძლიერებს გლობალურ კვლევით პარტნიორობას.

კვლევითი გრანტები ბელგიაში, როგორც წესი გაიცემა კონკურსის საფუძველზე. მკვლევრები და მეცნიერები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კვლევის დაფინანსებით, წარადგენენ საპროექტო წინადადებებს, სადაც ასახულია კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია, ვადები, ბიუჯეტი და მოსალოდნელი შედეგები. დამფინანსებელი სააგენტოები, სამთავრობო ორგანოები ან კერძო ფონდები აფასებენ ამ წინადადებებს სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე. შეფასების პროცესი მკაცრია და წარმატებულ განმცხადებლებს ეძლევათ დაფინანსება თავიანთი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

საერთაშორისო კვლევითი გრანტები ხელს უწყობს სხვა ქვეყნების მკვლევრებთან თანამშრომლობას, იდეებისა და გამოცდილების გაცვლას გლობალურ დონეზე.

ბელგიის უნივერსიტეტები და კოლეჯები სარგებლობენ კერძო სექტორისა და ფილანთროპიული დონორების დაფინანსებით. კერძო

სექტორთან პარტნიორობა უნივერსიტეტებს შესაძლებლობას აძლევს უზრუნველყონ სტუდენტები სტაჟირების პროგრამებითა და გარანტირებული სამუშაო ადგილებით. კერძო შემონირულობები აქტიურად გამოიყენება სასტიპენდიო პროგრამების დასაფინანსებლად.

ბელგია აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის დაფინანსების სხვადასხვა პროგრამაში, როგორცაა Erasmus+ სტუდენტებისა და პერსონალის მობილობისთვის და Horizon Europe კვლევითი პროექტებისთვის. ეს საერთაშორისო თანამშრომლობა აძლიერებს კვლევით საქმიანობასა და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, იზიდავს გლობალურ რესურსებსა და გამოცდილებას.

ბელგიაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაფინანსების გამოყოფა სხვადასხვა მეთოდს ეყრდნობა, თითოეული ტიპის დაწესებულება ექვემდებარება განაწილების სხვადასხვა მექანიზმს:

ფორმულაზე დაფუძნებული დაფინანსება უნივერსიტეტებისთვის – უნივერსიტეტები იღებენ დაფინანსებას ფორმულაზე დაფუძნებული მოდელების მეშვეობით, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, როგორცაა სტუდენტთა რაოდენობა, კვლევის შედეგები, სწავლების ხარისხი და აკადემიური მოსწრება. დაფინანსების ეს მოდელი მიზნად ისახავს დაბალანსებული მიდგომების ჩამოყალიბებას რესურსების განაწილებაში დაწესებულებებს შორის.

ფორმულაზე დაფუძნებული დაფინანსების გარდა, დაფინანსების ზოგიერთი მოდელი იყენებს შესრულებაზე დაფუძნებულ ელემენტებს, რათა დაფინანსდეს ინსტიტუტები კონკრეტული მიზნების მისაღწევად. შესრულების მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს კვლევის გავლენას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს და ა.შ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თითოეულ ლიგვისტურ საზოგადოებაში იღებენ კონკრეტულ ბიუჯეტებს, რომლებსაც გამოყოფენ შესაბამისი რეგიონული მთავრობები. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს თითოეულ საზოგადოებას მოირგოს თავისი უმაღლესი განათლების პოლიტიკა და მხარი დაუჭიროს თავის ინსტიტუტებს მათი უნიკალური პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად.

თავი III

საზოგადოების ინფორმირებულობა საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების მიქანიზმის შესახებ

როგორც უკვე განვიხილეთ, სახელმწიფო სწავლის დაფინანსების სხვადასხვა გზით ცდილობს განათლების სტიმულირებას და ამ მიმართულებით არაერთ რეფორმას ატარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწავლის დაფინანსების საშუალებების შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი, რომლის დასადგენადაც ჩვენს მიერ ჩატარდა აბიტურიენტთა და სტუდენტთა კვლევა ელექტრონულად (ონლაინ) გამოკითხვის გზით.

ანკეტური გამოკითხვის მეთოდით კვლევაში მონაწილეობა მიიღო 159-მა აბიტურიენტმა. კვლევის მიზანი იყო აბიტურიენტთა ინფორმირებულობის დონის დადგენა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. კვლევის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვერკვია:


- თუ რომელ რეგიონში/ქალაქში/სოფელში მდებარეობდა აბიტურიენტთა სკოლა;
- რომელი საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდათ შერჩეული უმაღლესი განათლების მისაღებად;
- რამ განაპირობა მათ მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა;
- ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას მათ მიერ შერჩეული სპეციალობის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების სხვადასხვა ფორმის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა აბიტურიენტები სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, კერძოდ: ბათუმი, ქობულეთი, ხულო, ქედა, შუახევი, ხელვაჩაური, ქუთაისი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, გორი, ქარელი, რუსთავი, ზუგდიდი, ლაგოდეხი, აბაშა.

კვლევაში მონაწილე აბიტურიენტების მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყო ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ფსიქოლოგია, ტურიზმი, მარკეტინგი, ქართული ფილოლოგია, სამედიცინო, კომპიუტერული მეცნიერება, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, ინგლისური ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, სტომატოლოგია, საბუნებისმეტყველო და საგადასახადო საქმე, გეოლოგია, არქეოლოგია, ჟურნალისტიკა, სამართალმცოდნეობა, კვებითი გასტრონომია, გეოგრაფია, პედაგოგიკა, მენეჯმენტი, ისტორია, არქიტექტურა, ავტოინჟინერია, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ინჟინერია, საერთაშორისო ურთიერთობები, პიარი, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა და ფინანსები. გამოკითხული რესპონდენტების მცირე ნაწილს კი, უშუალოდ კვლევის პროცესში არ ჰქონდა განსაზღვრული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა.

გამოკითხვის შედეგად ყველაზე მოთხოვნად საგანმანათლებლო პროგრამებად დასახელდა ბიზნესის ადმინისტრირება, მედიცინა, სამართალმცოდნეობა, ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფსიქოლოგია. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამის (1) სახით.


დიაგრამა 1. საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის მიზეზები აბიტურიენტთა მხრიდან მრავალგვარია. კვლევაში მონაწილე აბიტურიენტების 58.6%-მა საგანმანათლებლო პროგრამა შეარჩია მისდამი ინტერესის გამო, 29.5%-მა – სპეციალობის პერსპექტიულობის გამო, 5.7%-მა – უფასოდ სწავლის შესაძლებლობის გამო (პროგრამა დაფინანსებულია სრულად სახელმწიფოს მიერ), 3.1%-მა – ოჯახის ან ახლობლების გავლენისა და რეკომენდაციის გამო, დანარჩენმა 3.1%-მა საგანმანათლებლო მიმართულება აირჩია სხვა მიზეზების გამო (იხ. დიაგრამა 2).


დიაგრამა 2: საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის მიზეზები



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო აბიტურიენტთა ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა, კერძოდ, ფლობდნენ თუ არა ისინი ინფორმაციას მათ მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა ფორმის შესახებ. აღმოჩნდა, რომ აბიტურიენტთა 47.2% სრულად ფლობს ინფორმაციას დაფინანსებული სპეციალობების შესახებ, 48.4% ინფორმაციას არასრულად ფლობს, დარჩენილი 4.4% კი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (იხ დიაგრამა 3). დაბალი ინფორმირებულობის პირობებში კი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული მიზნები სრულყოფილად ვერ იქნება მიღწეული.

დიაგრამა 3: აბიტურიენტთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების სხვადასხვა პროგრამის შესახებ



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით


როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, აბიტურიენტების საკმაოდ დიდი ნაწილი არასრულად ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების სხვადასხვა მეთოდის შესახებ. ასევე, გამოიკვეთა იმ აბიტურიენტთა კატეგორია, რომელიც საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას არსებული დაფინანსების მეთოდების შესახებ. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია შესაბამისი დაწესებულებების მიერ გააქტიურდეს ამ მიმართულებით მუშაობა და მოხდეს მასიური ინფორმაციის გავრცელება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში, რათა მიზნობრივი აუდიტორიისათვის საჭირო და მათთვის ხელსაყრელი ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად აღქმადი.

კვლევის მეორე მიმართულება იყო სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა, კერძოდ კი, ფლობდნენ თუ არა ისინი ინფორმაციას დაფინანსების სხვადასხვა მეთოდის შესახებ და რა იყო ინფორმაციის წყარო. კითხვარში სტუდენტს უნდა მიეთითებია მის მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, პროგრამის შერჩევის განმაპირობებელი გარემოებები და დაფინანსების ტიპები, რომლითაც სარგებლობდნენ ისინი. კვლევის მოცემულ კატეგორიაში მონაწილეობა აქვს მიღებული 409 სტუდენტს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, მათ შორის: ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ჯიპა, თავისუფალი უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საზღვაო აკადემია, ტექნიკური უნივერსიტეტი, ბათუმის ნავიგაციის

სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო აკადემია, აგრარული უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ. კვლევის პროცესში შერჩეული იქნა უნივერსიტეტები თითქმის ყველა რეგიონიდან. ასევე, გამოკითხული იქნა როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ასევე, დაუფინანსებელი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. გამოკითხულთა 30.8% იყო IV კურსის სტუდენტი, 26.4% – III კურსის, 30.3% – II კურსის, ხოლო 12.5% კი – I კურსის სტუდენტი.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო განგვესაზღვრა სტუდენტთა მიერ პროფესიის შერჩევის განმაპირობებელი ფაქტორები. გამოკითხული სტუდენტების 50.6%-მა აღნიშნა, რომ სპეციალობისადმი ინტერესი ჰქონდა, 21,1%-მა იხელმძღვანელა სპეციალობის პერსპექტიულობიდან გამომდინარე, 9%-ზე გავლენა მოახდინა სპეციალობის უფასოდ სწავლების შესაძლებლობამ და ასევე 9%-ზე სხვა გარემოებებმა, ხოლო ოჯახის და ახლობლების გავლენას ასახელებს სტუდენტების 10.3% (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის გარემოებები




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო იმის განსაზღვრა, სარგებლობენ თუ არა დაფინანსებით კვლევაში მონაწილე სტუდენტები. კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტების 36.7% არ სარგებლობს

დაფინანსებით, 29.6% აქვს მოპოვებული გრანტი, 22.2% უფასო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს, ხოლო 11.5%-ს აქვს დაფინანსება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში (დღეით ან მამით ობოლი, მრავალშვილიანი და ა.შ.) (იხ. დიაგრამა 5).


დიაგრამა 5: დაფინანსების ტიპის გამოყენების მარკვიანებელი



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ აბიტურიენტობის პერიოდში სტუდენტების ინფორმირებულობის განსაზღვრა იყო. გამოკითხვის შედეგებით სტუდენტთა 51.6% გარკვეულწილად ფლობდა ინფორმაციას, 30.1% სრულად ფლობდა ინფორმაციას, ხოლო 18.3% არ ფლობდა ინფორმაციას (იხ. დიაგრამა 6).


დიაგრამა 6: სტუდენტთა ინფორმირებულობის მარკენაბელი აკტიურიენტოზის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებასთან მიმართებაში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

დღესდღეობით ინფორმაციის გავრცელების არაერთი საშუალება არსებობს. მნიშვნელოვანია ისეთი არხის შერჩევა, რომელიც სამიზნე აუდიტორიას მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულად მოპოვებასა და აღქმაში დაეხმარება. კვლევის ფარგლებში გამოვავლინეთ წყაროები, საიდანაც სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია დაფინანსების სხვადასხვა მეთოდის შესახებ. 22.2%-ის შემთხვევაში ეს იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, 16.1%-მა ინფორმაცია მიიღო განათლების სამინისტროს ვებ-გვერდიდან, 15.4%-მა სოციალურ ქსელში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო ჯგუფიდან, 14.3%-მა სკოლაში უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტიდან, 13.4%-მა დაასახელა სხვა საშუალებები, ხოლო 18.6%-მა ინფორმაცია მიიღო სწავლის დაწყების შემდგომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7: საბანანათლებლო პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

თავი IV


უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის ანალიზი

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის ანალიზია. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ჯიპა და სხვა) 367 კურსდამთავრებულის გამოკითხვა.

გამოკითხულ კურსდამთავრებულებს განათლება ჰქონდათ მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სამედიცინო, სამართალმცოდნეობის, ფსიქოლოგიის, ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, გეოლოგიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ასევე, განვსაზღვრეთ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების წელი (იხ. დიაგრამა 8).


დიაგრამა 8: საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წელი



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულთა 53,7%-ის მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ, ხოლო 46.3%-ის მიერ შერჩეული – იყო დაფინანსებული (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო დაფინანსების მარევენაობა




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა დაფინანსების სახეები, რომლითაც სარგებლობდნენ კურსდამთავრებულები. 10,4% სწავ-

ლობდა უფასო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 26,9%-ს ჰქონდა გრანტი მოპოვებული, 14,9% სარგებლობდა მუნიციპალური პროგრამებით, ხოლო 47,8% სარგებლობდა სხვა ტიპის დაფინანსებით (იხ. დიაგრამა 10).


დიაგრამა 10: დაფინანსების მომდევნო, რომლითაც ისარგებლეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

სპეციალობის შერჩევაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. კონკრეტული მიზეზები, რის გამოც კურსდამთავრებულთა მიერ მოხდა სპეციალობის შერჩევა, შემდეგნაირია: გამოკითხულთა 59,6%-თვის ეს იყოს სპეციალობის ინტერესი, 28,4%-თვის – სპეციალობის პერსპექტიულობა, 1,5%-თვის პრიორიტეტული იყო უფასოდ სწავლის ფაქტორი და ამავე რაოდენობისთვის – ოჯახის და ახლობლების გავლენა, ხოლო 9%-ზე გავლენა მოახდინა სხვა ფაქტორებმა (იხ. დიაგრამა 11).


დიაგრამა 11: საბანანათლებლო პროგრამის შერჩევის განმავლობაში ფაქტორები კურსდამთავრებულთაში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

კვლევის ფარგლებში, ასევე, გავანალიზეთ დასაქმების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში. რესპონდენტების 52.2% დასაქმებულია თავისი სპეციალობით, 26.9% დასაქმებულია, მაგრამ არა თავისი სპეციალობით, ხოლო 20,9% არ არის დასაქმებული (იხ. დიაგრამა).

დიაგრამა 12: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

თავი V

პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების შედეგიანობა

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში. ამ მხრივ საინტერესო სურათია საქართველოში, ვინაიდან არსებობს პრიორიტეტული დარგები, რაც სტუდენტებს განათლების უფასოდ მიღების საშუალებას აძლევს. საინტერესოა, როგორ განისაზღვრება საქართველოში პრიორიტეტული დარგები და საბოლოო ჯამში, რა სარგებელს აძლევს სახელმწიფოს (განათლების... 2013).


ზოგადად, განათლების დაფინანსებაზე სახელმწიფო ხარჯები გასამმაგდა 2010-2019 წლების განმავლობაში და 1,8 მლრდ ლარს მიაღწია. შედეგად, განათლების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში 3,7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 11,9%-მდე იმავე პერიოდში. 2019 წელს განათლებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან, დაფინანსების ნახევარი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს მოხმარდა, 7,5% – უმაღლესს და მხოლოდ 2,8% – პროფესიულ განათლებას. დანარჩენი ხარჯები განკუთვნილი იყო სკოლამდელი განათლების (15,3%) ინფრასტრუქტურული პროექტების (14,7%), მეცნიერების ხელშეწყობისა (3,4%) და სხვა დამხმარე პროგრამებისთვის (6,5%) (გალტ., 2020).

საქართველოში სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-სთან მიმართებით 2,8%-დან 3,6%-მდე გაიზარდა 2010-2019 წლებში. ამ პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, ეს ინდიკატორი დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც განათლების ხარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, განათლებაზე დანახარჯები მშპ-ს 6%-მდე გაიზარდა 2022 წლიდან, განათლების სისტემის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით (დიაგრამა N13) (ადეიშვილი., 2022).

ინკლუზიური განათლების ხარჯები (რაც გულისხმობს შშმ პირების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში) საშუალო წლიურად


33%-ით იზრდებოდა რვა წლის განმავლობაში და 27 მლნ. ლარს მი-
აღწია 2021 წელს, ხოლო 2022 წელს 35 მლნ. ლარამდეა გაზრდილი
(მთლიანი ხარჯის 1,5%). რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, მისი
დაფინანსება 11%-მდეა გაზრდილი. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯე-
ტის მიხედვით უმაღლეს განათლებაზე 153 306 ათასი ლარია გამო-
ყოფილი.

დიაგრამა 13: სახელმწიფოს მიერ 2022 წელს განათლებაზე
განეული ხარჯების სტრუქტურა



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:
საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2022,
2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

დიაგრამა 14: დანახარჯი განათლებაზე (მლრდ. ლარი) 2011-2023*



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:
საქსტატი, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

შრომის ბაზარი და განათლების სექტორი ძალიან მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. რაც უფრო მაღალი დონის განათლების მიღებაა შესაძლებელი ქვეყანაში, მით უფრო მეტი კვალიფიციური კადრია შრომის ბაზარზე, რაც თავის მხრივ აისახება შრომის ანაზღაურებაზეც. განათლებასა და შრომის ანაზღაურებას შორის დადებითი კორელაცია აშკარაა (გლობალიზაცია და ბიზნესი. №6 / 2018).

2013 წელს ნაკლებად „პრესტიჟული“ სასწავლო პროგრამების ხელშეწყობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან პრიორიტეტულად ჩაითვალა. შემუშავდა პროგრამა, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის სრულ სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნულ მიდგომას ფინანსური ტვირთის შემსუბუქებასთან ერთად უნდა ნახალისებინა სტუდენტები, აერჩიათ ის საგანმანათლებლო პროგრამები და დაუფლებოდნენ შესაბამის პროფესიებს, რომლებიც არ ითვლებოდა პრესტიჟულად, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდებოდა ამ მიმართულებით შესაბამისი კადრები (არევაძე ლ., 2016).

განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლიდან სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში ბაკალავრიატის 14 სპეციალობის სრული კურსი ფინანსდება. სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში პრიორიტეტული პროგრამების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას ორი კრიტერიუმი:

- შრომის არარეგულირებად ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები, რომლებზეც არის დეფიციტი;
- სპეციალობები, რომლებიც არ არის დამოკიდებული თავისუფალი ბაზრის კონიუნქტურაზე და მარკეტინგზე, მაგრამ გარდაუვალად საჭიროა კონკრეტულ სფეროში მაღალი რანგის სპეციალისტთა თუნდაც მცირერიცხოვანი რაოდენობის შენარჩუნება.

პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიხედვით მიეკუთვნება: აგრარული ტექნოლოგიები, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანყებითი და ზოგადი განათლება), ინჟინერია, საბუნე-

ბისმეტყველო მეცნიერებები, ეკონომიკა, ისტორია, ფილოლოგია, მათემატიკა, მშენებლობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, საჯარო მმართველობა, არქეოლოგია, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეკოლოგია, არქიტექტურა, ტრანსპორტი, მეტალურგია, მევენახეობა.

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათთვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობები განისაზღვრება ყოველწლიურად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

2023-2024 სასწავლო წლისათვის უფლებამოსილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეკუთვნება:

- ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 2,524,500.00 ლარი;
- ბ) სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 3,966,750.00 ლარი;
- გ) სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 900,000.00 ლარი;
- დ) სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 2,124,000.00 ლარი;
- ე) სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 967,500.00 ლარი;
- ვ) სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 562,500.00 ლარი;
- ზ) სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 587,250.00 ლარი;
- თ) სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 659,250.00 ლარი;
- ი) სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 207,000.00 ლარი;
- კ) სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – 225,000.00 ლარი.

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ-ში) პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებს მიეკუთვნება: ეკონომიკა, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მშენებლობა, აგრარული ტექნო-

ლოგიები, ქართული ფილოლოგია, ისტორია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა და 2023-2024 სასწავლო წლიდან – სკოლამდელი განათლება.

საინტერესოა შესაბამის სპეციალობებზე როგორი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე და რამდენად მნიშვნელოვანია ამ სპეციალობების დაფინანსება სახელმწიფოსთვის. აღნიშნულის შესაფასებლად განვახორციელეთ ბსუ-ს პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის ანალიზი.

პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების შემოღებიდან 10 წლის შემდეგ, საინტერესოა, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ეს პროგრამა, რისთვისაც ანალიზი წარვმართეთ შემდეგი მიმართულებით:

1. რამდენად დადებითად/უარყოფითად იმოქმედა დაფინანსების აღნიშნულმა ფორმამ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე უფრო ნიჭიერი აბიტურიენტების მოზიდვაზე;
2. რამდენად გაიზარდა პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოზიდული სტუდენტების რაოდენობა;
3. რამდენად დადებითად/უარყოფითად მოქმედებს დაფინანსების ეს სისტემა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია კვლევის ჩატარება, რომლითაც დადგინდება:


- როგორია დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნა აბიტურიენტთა მხრიდან;
- როგორია აღნიშნულ პროგრამებზე მიღებული განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების თავსებადობა;
- რა პერსპექტივები აქვს ამ სპეციალობებს როგორც დასაქმების, ისე წარმატებული კარიერის შექმნის მხრივ.

კვლევა ითვალისწინებს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ ანალიზს, რისთვისაც შედგა კითხვარი აბიტურიენტებისთვის, სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის ელექტრონული ფორმით.

კითხვარი დაეგზავნა ბსუ-ს პრიორიტეტული (უფასო) საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრიატის საფეხურის 180 და მაგის-

ტრატურის საფეხურის 144 კურსდამთავრებულს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 172-მა კურსდამთავრებულმა, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2018 წელს და შემდეგ.


დიაგრამა 15. გამოკითხულთა მიერ დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამები



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მიზეზად უმრავლესობამ დაასახელა უფასოდ სწავლის შესაძლებლობა (47,4%), ხოლო 44,7%-მა – სპეციალობისადმი ინტერესი, რაც ცხადპყოფს, რომ სწავლის დაფინანსება მეტად მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, ვისთვისაც საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისას მეტწილად ფინანსური საკითხია პრობლემური და რომ არა სახელმწიფო დაფინანსება, ისინი ამ არჩევანს ვერ გააკეთებდნენ, მიუხედავად სპეციალობისადმი არსებული დიდი ინტერესისა.


დიაგრამა 16: საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის გარემოება (შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა მათ მიერ არჩეული პროგრამა უფასო, უმრავლესობამ (89,5%) დადებითი პასუხი გასცა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს სწავლის დაფინანსების აუცილებლობას.


დიაგრამა 17: თვლით თუ არა, რომ თქვენს მიერ დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს უფასო?



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კითხვაზე, აირჩევდნენ თუ არა ისინი იგივე საგანმანათლებლო პროგრამას, ახლა რომ ჰქონდეთ არჩევანი გასაკეთებელი, რესპონდენტთა 68,4%-მა გასცა დადებითი პასუხი.

დიაგრამა 18: აირჩევდით თუ არა იგივე საგანმანათლებლო პროგრამას?




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პრიორიტეტულ სპეციალობებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა დაბალია, რაც ამცირებს დასაქმების პერსპექტივას და კურსდამთავრებულს უქმნის მცდარ მოლოდინს.

დასაქმების სტატუსის შეფასების ბლოკის მონაცემების მიხედვით რესპონდენტთა 76,3 % დასაქმებულია.

დიაგრამა 19: ხართ თუ არა დასაქმებული?




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

უფასო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა განათლების და საბითუმო/საცალო ვაჭრობის სფეროშია დასაქმებული, რაც აღნიშნულ სექტორში შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება კითხვას, პროფესიის შესაბამისად დასაქმებასთან მიმართებაში, დასაქმებულთა 44,8% არ არის დასაქმებული პრო-

ფესიის შესაბამისად. ეს მაჩვენებელი მონმობს იმას, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, როგორებიცაა პანდემიის პერიოდში კადრების გადინება მომიჯნავე სექტორებში ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გამო, სამუშაო ძალის მიგრაცია და სხვა.


დიაგრამა 20: ხართ თუ არა პროფესიის შესაბამისად დასაქმებული?



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კითხვაზე, მიღებული განათლების რა წილი გამოადგათ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას, რესპონდენტთა 41,4% პასუხობს, რომ გამოადგათ 80% და მეტი, ხოლო ყველაზე ნაკლები გამოყენება 10-20% – მიუთითა 17,2%-მა.


დიაგრამა 21: თქვენს მიერ დასრულებული საბანანათლებლო პროგრამიდან, რა წილი გამოგადგათ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას?



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხულთა 48,3% აღნიშნავს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ სამსახურეობრივი პოზიცია აიმაღლა, რაც არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია კარიერული განვითარებისა.

დიაგრამა 22: აიმაღლეთ თუ არა სამსახურეობრივი პოზიცია სწავლის დასრულების შემდგომ?




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება დაუსაქმებელ რესპონდენტებს, უმუშევრობის გამომწვევ მიზეზებად მეტწილად ზოგადი უმუშევრობა და შესაფერისი სამსახურის ძებნა სახელდება, უფრო ნაკლებად კი – სპეციალობის არაპერსპექტიულობა და ოჯახური პირობები.

გამოკითხულთა მხოლოდ 11,1 % თვლის, რომ მათი უმუშევრობა დაკავშირებულია დასრულებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, დანარჩენები ნაკლებად ან არ აკავშირებენ მათ.

დიაგრამა 23:



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, თუ რამდენად დაეხმარათ უმაღლესი განათლების მიღება დასაქმებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმაღლესი განათლების ერთადერთი მიზანი არ არის მხოლოდ შრომის ბაზრის ადამიანური რესურსით მომარაგება. უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში უნდა იქმნებოდეს ახალი ცოდნა, ვინაიდან 21-ე საუკუნეში განათლება და მეცნიერება ეკონომიკური კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია.

მოცემული კვლევის ფარგლებში, ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა გავლენა მოახდინა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დაფინანსებამ აბიტურიენტთა მოთხოვნაზე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე შეგვიძლია ნათლად წარმოვაჩინოთ, თუ რა შედეგები მივიღეთ მოთხოვნის კუთხით უფასო საგანმანათლებლო პროგრამებზე, ცხრილებში მოცემულია წლების მიხედვით ბსუ-ში უფასო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილები და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა.

ცხრილი 1:

N	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები	ისტორია			ეკონომიკა			ქართული ფილოლოგია		
	სასწავლო წელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესების მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესების მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესების მაჩვენებელი
1	2013-2014	-	-		20	19	95%	55	55	100%
2	2014-2015	30	30	100%	30	30	100%	60	60	100%
3	2015-2016	50	49	98%	50	50	100%	80	80	100%
4	2016-2017	50	49	98%	50	50	100%	80	80	100%
5	2017-2018	60	59	98%	60	33	55%	100	100	100%
6	2018-2019	60	60	100%	60	60	100%	100	100	100%
7	2019-2020	50	50	100%	40	38	95%	80	79	99%
8	2020-2021	50	49	98%	40	40	100%	80	80	100%
9	2021-2022	50	48	96%	40	40	100%	80	80	100%
10	2022-2023	50	50	100%	45	45	100%	80	80	100%
11	2023-2024	50	49	98%	45	45	100%	80	80	100%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ ბსუ-დან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე

ცხრილი 2:

N	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები	მშენებლობა			ბიოლოგია			ქიმიკა		
	სასწავლო წელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესბების მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესბების მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეესბების მაჩვენებელი
1	2013-2014	25	25	100%	25	25	100%	-	-	
2	2014-2015	30	30	100%	30	14	47%	15	8	53%
3	2015-2016	50	43	86%	30	28	93%	15	7	47%
4	2016-2017	50	50	100%	30	26	87%	15	4	27%
5	2017-2018	60	50	83%	30	30	100%	15	1	7%
6	2018-2019	50	50	100%	30	30	100%	15	15	100%
7	2019-2020	50	11	22%	30	30	100%	15	13	87%
8	2020-2021	50	31	62%	30	6	20%	15	5	33%
9	2021-2022	50	24	48%	30	5	17%	10	1	10%
10	2022-2023	50	45	90%	30	26	87%	10	5	50%
11	2023-2024	50	49	98%	30	30	100%	10	10	100%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ ბსუ-დან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე

ცხრილი 3:

N	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები	ფიზიკა			მათემატიკა			დანეციბითი განათლება		
	სასწავლო წელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შესვლის მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შესვლის მაჩვენებელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შესვლის მაჩვენებელი
1	2013-2014	20	1	5%	30	30	100%	60	59	98%
2	2014-2015	15	4	27%	30	28	93%	90	90	100%
3	2015-2016	15	1	7%	30	19	63%	90	88	98%
4	2016-2017	15	1	7%	30	18	60%	90	88	98%
5	2017-2018	15	4	27%	30	5	17%	90	89	99%
6	2018-2019	10	3	30%	30	17	57%	50	50	100%
7	2019-2020	10	7	70%	25	18	72%	80	78	98%
8	2020-2021	10	8	80%	25	25	100%	80	79	99%
9	2021-2022	10	3	30%	25	24	96%	80	79	99%
10	2022-2023	10	6	60%	25	25	100%	80	78	98%
11	2023-2024	10	7	70%	25	24	96%	80	80	100%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ ბსუ-დან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე

ცხრილი 4:

N	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები	აგრარული ტექნოლოგიები		
	წლები	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებული კონტინგენტი	შეცხების მაჩვენებელი
1	2013-2014	20	19	95%
2	2014-2015	50	35	70%
3	2015-2016	50	39	78%
4	2016-2017	50	50	100%
5	2017-2018	50	50	100%
6	2018-2019	50	50	100%
7	2019-2020	50	48	96%
8	2020-2021	50	50	100%
9	2021-2022	50	49	98%
10	2022-2023	50	49	98%
11	2023-2024	50	50	100%


წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ ბსუ-დან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ყველაზე ნაკლებმოთხოვნად სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ბსუ-ში მიეკუთვნება ქიმია და ფიზიკა, სწორედ ის სფეროები, რომელშიც კვალიფიციური კადრების განსაკუთრებული დეფიციტია არა მარტო აჭარის, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის ფარგლებში, ასევე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, შეგვესწავლა პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები რას ირჩევდნენ დამატებით ანუ ე.წ. მაინორ სპეციალობად. აღნიშნული მიზნით ელექტრონული ფორმით განვახორციელეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა 118 კურს-

დამთავრებულისა და სტუდენტის გამოკითხვა. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამის სახით:

დიაგრამა 24. ზსუ-ს კრიორიტეტული საბანანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობები



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

როგორც შედეგებიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში არჩეულია ფასიანი საგანმანათლებლო პროგრამები – ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია, არქეოლოგია, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია, ტურიზმი. თუმცა, გამოკითხულთა 60% აღნიშნულის მიზეზად ასახელებს ძირითადი და დამატებითი სპეციალობების ურთიერთშევისების სურვილს.

თავი VI

განათლებაზე განეული ხარჯების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე

ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის განათლების დონე. ამდენად, ინვესტიცია განათლებაში არის ინსტრუმენტი, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებენ სახელმწიფოები ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მისაღწევად. განათლებაში ინვესტიცია ხელს უწყობს მეცნიერებას, კვლევებს და ტექნოლოგიურ განვითარებას. ამ გზით უმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარმა ბარტონ ვაისბროდმა კვლევაში „Education and Investment in Human Capital“ 1962 წელს განაცხადა, რომ ადამიანური კაპიტალი ფუნდამენტურ როლს თამაშობს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. მან ასევე დაადასტურა, რომ მომავალი პროდუქტიულობის ინვესტიციები სულ უფრო მეტად ინარმოება კერძო ბაზრის გარეთ და არამატერიალური ფორმით. ანალოგიურად, ამერიკელმა ეკონომისტმა და მკვლევარმა თეოდორე შულცმა 1961 წელს კვლევაში „Investment in Human Capital“ აღნიშნა, რომ მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები არის ცოდნის მიღწევები და კომპეტენციების და უნარების მუდმივი გაუმჯობესება, ვიდრე კაპიტალი და მიწა, და რომ განათლებაზე დახარჯვა მიზნად ისახავს უნარების გაუმჯობესებას.

საქართველოში განათლებაზე განეული ხარჯების მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე გავლენის შესასწავლად მოპოვებული იქნა 2006-2021 წლების სტატისტიკური მონაცემები – მშპ-ში განათლებაზე განეული ხარჯების წილის ზრდის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპის შესახებ.

ცხრილი 5:

წლები	მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპი INCOME (%)	მშპ-ში ხარჯების წილის ზრდა ACCOUNT (%)
2006	10,5	43,3
2007	13,1	10,7
2008	27,2	20,8
2009	6,4	4,6
2010	12,9	5,5
2011	8,1	7,3
2012	11,5	15,4
2013	12,4	8,9
2014	10,9	13,1
2015	4,3	15,1
2016	4,3	19,9
2017	4,9	13,1
2018	0,4	7,7
2019	5,4	21,2
2020	-4,6	-0,5
2021	13,9	15,1

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სააგენტო ინფორმაციის საფუძველზე


ემპირიული ანალიზისათვის აღებული იქნა მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპი დამოკიდებულ ცვლადად და მშპ-ში განათლების ხარჯის ზრდა დამოუკიდებელ ცვლადად.

$$Y = aa_0 + aaX$$

ცვლადების დროითი სერია შემონმდა სტაციონარულობაზე.

დიაგრამა 25


INCOME (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 26

ACCOUNT (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკები აჩვენებს, რომ დროითი სერიები არასტაციონარულია, დაზუსტებისათვის მივმართეთ დიკი-ფულერის ტესტს.

**ცხრილი 6: განათლების ხარჯების დროითი სერიის
სტატისტიკის ტესტი**

Null Hypothesis: D(ACCOUNT————) has a unit root				
Exogenous: Constant				
Lag Length: 0 (Automatic – based on SIC, maxlag=3)				
			t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic			-9.052876	0.0000
Test critical values:	1% level		-4.004425	
	5% level		-3.098896	
	10% level		-2.690439	
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
D(ACCOUNT ————(-1))	-1.569912	0.173416	-9.052876	0.0000
C	-1.468724	2.228694	-0.659007	0.5223
R-squared	0.872279	Mean dependent var		3.442857
Adjusted R-squared	0.861635	S.D. dependent var		21.74385
S.E. of regression	8.088149	Akaike info criterion		7.150240
Sum squared resid	785.0178	Schwarz criterion		7.241534
Log likelihood	-48.05168	Hannan-Quinn criter.		7.141789
F-statistic	81.95457	Durbin-Watson stat		2.193210
Prob (F-statistic)	0.000001			

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

**ცხრილი 7: მოსახლეობის შემოსავლების დროითი სერიის
სტატისტიკის ტესტი**

Null Hypothesis: D(INCOME) has a unit root				
Exogenous: Constant				
Lag Length: 0 (Automatic – based on SIC, maxlag=3)				
			t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic			-6.858911	0.0001
Test critical values:	1% level		-4.004425	
	5% level		-3.098896	
	10% level		-2.690439	
R-squared	0.796764	Mean dependent var	1.135714	
Adjusted R-squared	0.779828	S.D. dependent var	16.42670	
S.E. of regression	7.707820	Akaike info criterion	7.053911	
Sum squared resid	712.9258	Schwarz criterion	7.145205	
Log likelihood	-47.37738	Hannan-Quinn criter.	7.045460	
F-statistic	47.04467	Durbin-Watson stat	1.812885	
Prob(F-statistic)	0.000017			

წყარო: ავტორის განგარიშები, Eviews პროგრამული უზრუნველყოფა

ორივე ცვლადის დიკი ფულერის ტესტით შემონიშნებისას დადგინდა, რომ დროითი სერიები ინარჩუნებენ სტატისტიკურულობას.

ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრიობის დასადასტურებლად გამოყენებული იქნა გრეინჯერის ტესტი, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ **ნულოვანი ჰიპოთეზა** – ხარჯები არ იწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას – უარყოფილია. მაშასადამე, განათლებაზე განხორციელებული ხარჯების ზრდა იწვევს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

ცხრილი 8: ბრეინჯერის ტესტის შედეგები

Pairwise Granger Causality Tests			
Date: 05/25/23 Time: 17:39			
Sample: 2006 2021			
Lags: 2			
Null Hypothesis:	Obs	F-Statistic	Prob.
ACCAUNT does not Granger Cause INCOME	14	9.14821	0.0068
INCOME does not Granger Cause ACCAUNT		0.24003	0.7915

წყარო: ავტორის გაანგარიშებები, Eviews პროგრამული უზრუნველყოფა

განათლებაზე განუვლი ხარჯების მოსახლეობის შემოსავლიანობაზე გავლენის დასადგენად მივმართეთ დისპერსიულ ანალიზს.

ცხრილი 9: დისპერსიული ანალიზი

ANOVA								
	df	SS	MS	F	Significance F			
Regression	1	76,337	76,337	2,58403	0,228765			
Residual	14	674,682	48,191					
Total	15	751,02						
	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95,0%	Upper 95,0%
Intercept	5,7199	3,032	1,886	0,08	-0,78445	12,224	-0,7844	12,224
X Variable 1	0,226	0,179	1,258	0,028	-0,15942	0,6122	-0,1594	0,6122

წყარო: ავტორის გაანგარიშებები, Eviews პროგრამული უზრუნველყოფა

20-წლიანი შედეგის დისპერსიული ანალიზი აჩვენებს, რომ $F_{\text{განგარ.}} > F_{\text{კრიტ.}}$ $2,58 \gg 2,43$, რაც იმას ნიშნავს, რომ ხარჯები გავლენას ახდენს შემოსავლებზე მცირედით.

რეგრესული განტოლება იღებს სახეს: $Y = a_0 + 0,226X$

ე.ი თუ განათლების ხარჯი გაიზრდება 1%-ით, ის უნდა იწვევდეს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას 0,23%-ით.

განათლების ხარჯებისა და შემოსავლების პროგნოზირებისათვის გამოყენებული იქნა ARMA მოდელი.


ცხრილი 10:

	Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.	R-squared	F-statistic
Account %	AR(1)	-0.910965	0.239302	-3.806767	0.0029	0.676630	11.50836
	MA(4)	0.900560	0.069760	12.90948	0.0000		
Income %	AR(2)	1.497266	0.518492	2.887732	0.0162	0.789485	18.75127
	MA(7)	-0.999942	0.050892	-19.64850	0.0000		

წყარო: ავტორის გაანგარიშებები, Eviews პროგრამული უზრუნველყოფა

ღიაზრამა 27:

განათლების ხარჯების პროგნოზი 2021-2030 წწ.




მოდელით x-ღერძის დახრილი ხაზი მიუთითებს განათლების ხარჯების შემცირების პროგნოზს. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, მონაცემთა სერია აშკარად აჩვენებს ინდიკატორის რყევას დროთა განმავლობაში. საპროგნოზო პერიოდში დაღმავალი ტენდენცია გამოიკვეთა, მაგრამ დიდი ალბათობით იგი არ შეესაბამება მოლოდინს. მოცემულ შემთხვევაში რაიმე სახის ცალსახა დასკვნის გამოსატანად,

რა თქმა უნდა, უნდა გვესმოდეს, თუ რა ინდიკატორთან გვაქვს საქმე და რამდენად რეალურია ასეთი სცენარი პრაქტიკაში.

პროგნოზირებადი ინტერვალები მნიშვნელოვნად ფართოვდება და არის +50% – 90%. ასეთი ინტერვალის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოდელის შერჩევისას სხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლობა.

ღიაბრამა 28:

მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპის პროგნოზი



მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპი მომავალი 8 წლის განმავლობაში ინარჩუნებს მაღალი ალბათობით არსებულ მდგომარეობას, მაგრამ ინტერვალი აქაც მაღალია -6.0% და +8.0%.

ორივე ცვლადის პროგნოზის შედარებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უახლოეს 8 წელში სხვა გარემოებების შენარჩუნებით არსებული დამოკიდებულება განათლების ხარჯების ზრდის ტემპსა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპს შორის სავარაუდოდ შენარჩუნდება. განათლებაში ხარჯების განევა გრძელვადიან პერიოდში იძლევა შედეგს და დღეს არსებული დამოკიდებულება 8-10 წლის წინ განეული ხარჯის შედეგია.

თავი VII

ბიუჯეტის პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შეფასება

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები განსაზღვრულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების (ადგილობრივი) ბიუჯეტების ფარგლებში. შესაბამის პროგრამებში აღწერილია დაფინანსების მიზნები, ხოლო შედეგები ასახულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.

რადგან უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უდიდესი წილი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტზე, ბიუჯეტის პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაფასებლად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ 2013-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან 2022 წლის ჩათვლით სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად იზრდებოდა უმაღლესი განათლების დაფინანსების თანხა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი სრულდებოდა გადაჭარბებით. შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 11: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში უმაღლესი განათლების დაფინანსების მაჩვენებლები

წლები	გეგმიური ხარჯი (ათასი ლარი)	ფაქტიური ხარჯი (ათასი ლარი)	გეგმის შესრულების მაჩვენებელი
2013	74,740.50	78,827.50	105.47%
2014	82,683.40	87,933.10	106.35%
2015	130,096.80	132,736.70	102.03%
2016	136,131.70	139,155.20	102.22%
2017	147,630.60	140,742.20	95.33%
2018	168,041.50	175,775.80	104.60%
2019	165,052.50	174,087.70	105.47%
2020	129928.7	139057.9	107.03%
2021	141602	155034.8	109.49%
2022	133862.5	146596.5	109.51%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების (2013-2022 წლები) მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტით უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაბამისი პროგრამის (უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა) მიზნები და იგი მოიცავდა შემდეგ ზოგად ინფორმაციას:

- უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებული განხორციელება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;
- ყველა წარჩინებული სტუდენტის სტიპენდიით უზრუნველყოფა;
- წარმატებული სტუდენტების მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება;
- განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის პროგრამაში ჩამოთვლილ მიზნებს დაემატა შემდეგი ჩანაწერი: პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო განაგრძობს შესაბამისი პროგრამების გა-

ნხორციელებას, რათა საქართველოს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რის შედეგადაც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, ღირსეული კონკურენტები იყვნენ დასაქმების მსოფლიო ბაზარზე; ხოლო 2017 წლის ბიუჯეტში კი შემდეგი: დაინერგება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები, რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რომლებიც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე იქნება იდენტიფიცირებული.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამის შედეგებს, იგი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- 2013 წელს – დაფინანსებით უზრუნველყოფილი ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც უზრუნველყვეს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებაზე; 25%-ით გაზრდილია სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა; გაზრდილია სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა;
- 2014 და 2015 წელს – სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 2 700-ს; სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებულია სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 11 000-ზე მეტი სტუდენტი; აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებულია სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა; მხოლოდ 2014 წლის ანგარიშში კი დამატებით მითითებულია – პროგრამა „ცოდნის კარის“ (მსოფლიოს წამყვან

საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქეთა სწავლის დაფინანსება) ფარგლებში დაფინანსებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 175 პირი.

- 2016 წელს – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე ჩარიცხულ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია დაფინანსებით. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5 000-მდე სტუდენტით გაიზარდა დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა; სულ დაფინანსდა 16 500-ზე მეტი სტუდენტი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ გრანტის მფლობელ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით; „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სტიპენდიებს იღებს 2 700-მდე სტუდენტი;
- 2017 წელს – დაფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 33 000-მდე ბაკალავრი. პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 18 000-მდე სტუდენტი. სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 2 000-მდე მაგისტრანტი. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700-მდე სტუდენტს;
- 2018 წელს – დაფინანსებულია სასწავლო და სამაგისტრო გრანტები და წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიები; პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით და/ან სტიპენდიით/საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფილია პროგრამის ბენეფიციარები;

საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია სტუდენტები; საგანმანათლებლო პროგრამებზე სწა-

ვლება დაუფინანსდათ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მქონე სტუდენტებს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამული მიმართულებების ფარგლებში დაფინანსებულია 19 200-ზე მეტი სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 31 300-ზე მეტი სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებით უზრუნველყოფილია 1 878-ზე მეტი სტუდენტი. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700 სტუდენტს;

- 2019 წელს – სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 35 000-ზე მეტი სტუდენტი; დაფინანსებულია პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 14 400-მდე სტუდენტი;
- 2020 წელს – სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 33 000-ზე მეტი სტუდენტი, ხოლო პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 18 000-მდე სტუდენტი;
- 2021 წელს – სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 35 000-მდე სტუდენტი, ხოლო პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 14 000-მდე სტუდენტი;
- 2022 წელს – 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრი დაუფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ 32 300-ზე მეტ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტს, 1 800-მდე მაგისტრანტს, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 19 200-ზე მეტი სტუდენტი, გამყოფი ხაზის მიმდინარე სოფლებში მცხოვრები – 2 000-ზე მეტი სტუდენტი და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლება დაუფინანსდა 937 პირს, ხოლო 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრი დაუფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ 33 300-ზე მეტ ბაკალავრს, 1 900-ზე მეტ მაგისტრანტს, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა –

19 800-მდე სტუდენტი, გამყოფი ხაზის მიმდინარე სოფლებში მცხოვრები 1 700-მდე სტუდენტი და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლება დაუფინანსდა 774 პირს. სახელმწიფო სტიპენდია 150 ლარის ოდენობით 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში გამოეყო 2 755 სტუდენტს და 2022-2023 წლის პირველ სემესტრში 2 930 სტუდენტს, ასევე „დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის“ სახელობის სტიპენდიები 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში 300 ლარის ოდენობით გაიცა 5 სტუდენტზე და 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 7 სტუდენტზე. ამასთან, დაწყებულია მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების განახლებული, შესრულებაზე დაფუძნებული მოდელის დანერგვაზე.

როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციით ჩანს, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში ხარჯვითი ნაწილის გადაჭარბებით შესრულება განპირობებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტით და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდით. ამასთან, აღნიშნულ ნაწილში გეგმის გადაჭარბებით შესრულება ხდებოდა ბიუჯეტის პროგრამის სხვა ქვეპროგრამების (განათლების სფეროში უმაღლესის შემდგომი განათლება, განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსება, განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა) გეგმის არასრულად შესრულების ხარჯზე.

თავი VIII

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის აუდიტის შედეგები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, აღნიშნული მიმართულებით მთავარ გამოწვევად დასახელებულია უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა უმუშევრობის და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (დაახლოებით 30%). ამავ სტრატეგიის თანახმად, დიდი როლი ენიჭება უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების თანხვედრას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს ჩატარდა უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი, რომლის მიზანიც იყო დაფინანსების არსებული მექანიზმების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასება. აუდიტის პერიოდმა მოიცვა 2013-2017 წლები. აუდიტის ამოცანები კი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- პრიორიტეტული პროგრამების მიზნის თავსებადობის განსაზღვრა მთავრობის სტრატეგიასთან;
- პრიორიტეტული პროგრამებისა და მისაღები სტუდენტების რაოდენობის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ქვეყნის საჭიროებებთან შესაბამისობის განსაზღვრა;
- რამდენად უზრუნველყოფენ დანერგილი მექანიზმები სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას;
- რამდენად უზრუნველყოფს დაფინანსების მოდელი ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვას;
- უზრუნველყოფენ თუ არა დანერგილი მექანიზმები პროგრამის სათანადო მონიტორინგს და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

აუდიტის განხორციელებისას გამოყენებული იქნა შემდეგი პროცედურები: მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის და დოკუმენტაციის ანალიზი, ინტერვიუები, 350 კურსდამთავრებულის გამოკითხვა, დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრისთვის მონაცემთა ბაზების დამუშავება და საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარება, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განათლებაზე განეული ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების მიხედვით უმაღლესი განათლების დაფინანსება უნდა განხორციელდეს შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ეკონომიკის საჭიროებების შესაბამისად, რამაც უნდა უზრუნველყოს სტუდენტების, როგორც მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისთვის მზაობა. დასაფინანსებელი მიმართულებების განსაზღვრა უნდა განხორციელებულიყო რეგულარული სისტემური ანალიზის საფუძველზე, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან და ეკონომიკის გაძლიერებასთან.

აუდიტის ანგარიშის თანახმად, 2013 წლიდან სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტაბილურად იზრდება ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა. უმაღლეს საგანმანათლებლო პრიორიტეტულ პროგრამებზე 2013-2017 სასწავლო წლებში გახარჯულია 145 494 763 ლარი, სადაც პროგრამულ დაფინანსებაზე განეული ხარჯი შეადგენდა 129 534 325 ლარს, ხოლო სახელმწიფო სასწავლო გრანტის წილი – 15 960 438 ლარს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტის განხორციელებისას იყენებს საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზსაც, რომლის მიხედვითაც განათლების დაფინანსების მექანიზმები ორიენტირებულია ისეთ მიზნებზე, როგორიცაა ხარისხი, პროდუქტიულობა, თანასწორობა და სისტემის ფუნქციონირება. დაფინანსების ფორმულაში ხარისხობრივ ინდიკატორად გამოყენებულია გაცემული დიპლომების რაოდენობა ჰოლანდიაში, ჩეხეთში, ბელგიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, ხოლო სტუდენტების მიერ და-

გროვებული კრედიტების რაოდენობა და სწავლის საშუალო ხანგრძლივობა კი – ბელგიაში, შვედეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში.

აღნიშნული აუდიტორული ანგარიშის მიხედვით აუდიტის მიგნებები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება უნდა დაფუძნებოდა შრომის ბაზრის ანალიზსა და ქვეყნის განვითარების საჭიროებებს, 2013 წლიდან 7 პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების სრული დაფინანსება ხორციელდებოდა შესაბამისი კვლევების ჩატარების გარეშე, რის გამოც მათი თავსებადობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არ არის დადასტურებული;
- საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო, მაგრამ ნაკლებპოპულარული სფეროს შერჩევა, სადაც სტუდენტთა დაბალი რაოდენობა ფიქსირდება. აღნიშნულის საპირისპიროდ კი ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ იმ პირობებში, როცა სპეციალობაზე წინა წლებშიც მუდმივად მაღალი მოთხოვნა და ადგილების მაღალი ათვისება ფიქსირდებოდა, შრომის ბაზარზე კადრების საჭირო რაოდენობა კი შეფასებული არ არის. ამასთან, პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამად არ არის მიჩნეული ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი და სტუდენტთა მხრიდან დაბალი მოთხოვნის მქონე სპეციალობა, როგორცაა ინკლუზიური განათლება. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში კი ყურადღება გამახვილებულია სპეციალური მასწავლებლისთვის ინკლუზიური მიმართულებით კვალიფიკაციის ფლობის მნიშვნელობაზე. აღნიშნულ პირობებში, დაფინანსებულ სპეციალობას მიეკუთვნება დაწყებითი განათლება, სადაც ადგილების თითქმის სრული (90%) ათვისება ფიქსირდებოდა პრიორიტეტულად გამოცხადებამდეც, შემდეგ კი სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა;
- ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამა 2013 წლიდან აღიარებულია პრიორიტეტულად, თუმცა, 4 წლის მანძილზე არც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არ გამოცხადებულა მისაღები ადგილები;

- 2017 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად თავად განსაზღვრავენ დამატებით სასწავლო პროგრამებს, რის შედეგადაც საბაზისო პერიოდთან შედარებით 3,5-ჯერ გაზრდილია პროგრამათა რაოდენობა შესაბამისი კვლევებით მათი ზრდის საჭიროების დადასტურების გარეშე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არა აქვს შემუშავებული მექანიზმი, რითაც შეაფასებს უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამის ქვეყნის საჭიროებებთან შესაბამისობას. შესაბამისად, სასწავლო პროგრამის პრიორიტეტად აღიარებისას არ არის მოთხოვნილი შესაბამისი კვლევების წარდგენა საჭიროებების დასაბუთების მიზნით, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა დაფინანსებულ პროგრამათა რაოდენობა;
- სახელმწიფოს მიერ შემუშავებული შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტიციითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებას პროგრამის ადმინისტრირებისას. 2019 წლის მდგომარეობით კი შრომის ბაზრის მხოლოდ ორი კვლევაა ჩატარებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მათ შორის, 2015 წელს იგი ორიენტირებული იყო პროფესიულ განათლებაზე, ხოლო 2017 წელს – პროფესიულ და ასევე, უმაღლეს განათლებაზე, თუმცა, დოკუმენტში პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა შესახებ მონაცემები აგრეგირებულია და არ არის განხილული კონკრეტული სპეციალობების მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული კვლევები სრულად ვერ ასახავს იმ საჭიროებებს, რომლებიც უმაღლესი განათლების პროგრამების დაგეგმვის ეტაპზეა საჭირო. ამასთან, შესაბამისი სტრუქტურების მიერ სათანადოდ არ ხორციელდება დარგების

მიხედვით უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის საპროგნოზო მაჩვენებლების გამოთვლა, რაც მნიშვნელოვნად შეიტანდა წვლილს თითოეული მიმართულებით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას;

- 2017 წლის შრომის ბაზრის კვლევაში პრობლემურ ვაკანსიებად დასახელებულია ფიზიკა, მათემატიკა, საინჟინრო მეცნიერებები, საკვები პროდუქტების წარმოების პროფესიონალები, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, კლიენტთა ინფორმირების სერვისები, სამრეწველო დანადგარების ოპერატორები. სოციალური მეცნიერებებიდან ეკონომიკა იკავებს ბოლო ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მიმართულებით კადრის მოძიება პრობლემური არ არის. ამავე პერიოდში დასაფინანსებელი სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა კი განისაზღვრა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ყველაზე ნაკლები კი – ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, აგრონომიის, მათემატიკის, სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით. მაშასადამე, დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული შრომის ბაზრის ტენდენციები;
- პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებით რესპონდენტთა მხოლოდ 49% მუშაობდა საკუთარი პროფესიით. სტრუქტურული უმუშევრობის მნიშვნელოვანი ფაქტორი კი არის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და სტუდენტთა რაოდენობის დადგენისას შესაბამისი ტენდენციებისა და მონაცემების გაუთვალისწინებლობა. ამასთან, სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სამინისტროების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების კოორდინაცია და მონაცემების მიმოცვლა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამებისა და გამოსაცხადებელი ადგილების სწორად განსაზღვრაზე;
- პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა არ ითვალისწინებს ხარისხობრივ ინდიკატორებს და იგი ეფუძნება მხოლოდ ისტორიულ გამოცდილებას, რის შედეგადაც წლების მიხედვით რაოდენობა თითქმის

უცვლელია და არა ათვისების მაჩვენებლის შესაბამისი. ამასთან, არაოპტიმალურადაა გადანაწილებული ადგილების რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის;

- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 27 ივლისის ბრძანება N816-ის შესაბამისად, 2017-2018 სასწავლო წლამდე, არსებული დაფინანსების მოდელის შესაბამისად, თითოეული პრიორიტეტული მიმართულების დაფინანსების ფარგლებში განსაზღვრული ჯგუფების მიხედვით, უნივერსიტეტზე გაიცემოდა ფიქსირებული წლიური დაფინანსება, მიუხედავად სტუდენტების რაოდენობისა, რაც იწვევდა სახსრების არაპროდუქტიულ ხარჯვას;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას უნივერსიტეტების მიერ მიღწეული შედეგების შეფასების კომისია, რომელმაც უნდა გააანალიზოს ცალკეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიხედვით პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასებების მონაცემები და სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების საფუძველზე მიღებული შედეგები (განათლების ხარისხთან მიმართებაში). აღნიშნულის მიზანია, კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლების მიხედვით პროგრამული დაფინანსების გაცემაზე თანხმობის და უარის თქმის შესახებ. მიუხედავად რეგულაციის არსებობისა, აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შესამონმეებელ პერიოდში არ განხორციელებულა. შესაბამისად, არ არის შეფასებული, რამდენად ოპტიმალურია უნივერსიტეტებზე გაცემული დაფინანსება. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს ან/და ინფორმაციას სამინისტროში დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევის, შუალედური ან/და საბოლოო შედეგების შესახებ. მათი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასა და მწირ სტატისტიკურ მონაცემებს;
- სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ მიმართულებებზე ინვესტირებული ფინანსური რესურსის ეფექტიანობის შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა, საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული

მეთოდოლოგიით გამოთვალა „სოციალური უკუგების“ მაჩვენებელი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უმაღლეს განათლებაზე განეული ხარჯების ფარდობას დასაქმებიდან მიღებულ სავარაუდო შემოსავლებთან. გამოთვლილმა მაჩვენებელმა შეადგინა 7,7%. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, ევროპის ქვეყნებში „სოციალური უკუგების“ საშუალო მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე პირებში შეადგენს 15%-ს, ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში კი, სადაც განათლებაზე განეული ხარჯები შედარებით დაბალია – იგი მერყეობს 20%-დან 30%-მდე.

განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის შედეგად შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები:

- ქვეყნის საჭიროებებთან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მათი აქტუალურობა ყოველწლიურად უნდა შეფასდეს შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე;
- სამინისტროს მიერ უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომლითაც უნივერსიტეტები მხოლოდ დადასტურებული საფუძველით შეძლებენ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევას, რის შედეგადაც თავიდან იქნება აცილებული ქვეყნის საჭიროებებთან შეუსაბამო გადანყვეტილებების მიღების რისკი;
- მნიშვნელოვანია გაიზარდოს პასუხისმგებელ სამინისტროებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაცია, რათა თითოეული მიმართულების მიხედვით შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამასა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნულის შედეგად შემცირდება სტრუქტურული უმუშევრობის რისკი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას გამოყენებული იქნას ხარისხობრივი ინდიკატორები (შრომის ბაზრის ტენდენციები და სხვა);
- მიზანშეწონილია შეიცვალოს დაფინანსების არსებული მოდელი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტ-

ბის მიხედვით დაფინანსების გაცემისას სტუდენტთა რაოდენობასთან ერთად ხარისხობრივი ინდიკატორების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სახსრების პროდუქტიულად ხარჯვას;

- მიზანშეწონილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეფასების ინდიკატორების გამოყენებით დანერგოს მონიტორინგის სისტემა, რითაც შეფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პრიორიტეტულ მიმართულებათა დაფინანსების ფარგლებში მიღწეული შედეგი, დახარჯული რესურსის პროდუქტიულობა და ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდება დროული რეაგირება.

თავი IX.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენის განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მაჩვენებელზე

ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების უმთავრესი მისია არის ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. აღნიშნულ მისიაში უმთავრესი ბერკეტი სახელმწიფო ბიუჯეტით შესაბამისი ხარჯების განწესებაა. ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება სწორედ განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე უნდა ახდენდეს დადებით გავლენას. ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი სწორედ ბიუჯეტის ხარჯვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის განსაზღვრაა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სხვადასხვა მაჩვენებელში იზომება. სოციალური განვითარების მიმართულებაში მნიშვნელოვანია დასაქმების და უმუშევრობის დონე, ეკონომიკურ განვითარებაში კი – მშპ, ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის დონე.

კვლევის მიზნებისათვის მოპოვებული იქნა შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12:

წლები	უმადლესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით (ათასი ლარი)	დასაქმების საერთო დონე (%)	დასაქმების დონე (%) (25-34 წ. ასაკის)	უმუშევრობის დონე % (25-34 წ. ასაკის)	ჯინის კოეფიციენტი	სიღარიბის დონე, %
2013	78827.50	39.4	48.4	34	0.4	26.2
2014	87933.10	41.4	50.5	30.6	0.4	23.5
2015	132736.70	43.3	54.2	26.9	0.4	21.6
2016	139155.20	43	52.5	27.5	0.4	22
2017	140742.20	42.7	53.6	24.8	0.41	21.9
2018	175775.80	42.7	54	23.5	0.39	20.1
2019	174087.70	42.7	55.5	21.3	0.39	19.5
2020	139057.90	41.1	52.3	21.5	0.37	21.3
2021	155034.80	40.4	49.5	26.1	0.37	17.5
2022	146596.50	42.9	54.7	21	0.36	15.6

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში უმაღლესი განათლების დაფინანსებასა და სოციალური განვითარების მაჩვენებლებს შორის კვლევის ფარგლებში დადგენილმა კორელაციამ მიიღო შემდეგი სახე (იხ. ცხრილი 13).

ცხრილი 13:

	დასაქმების საერთო დონე (%)	დასაქმების დონე (%) (25-34 წ. ასაკის)	უმუშევრობის დონე % (25-34 წ. ასაკის)	სიღარიბის დონე, %	ჯინის კოეფიციენტი
უმალესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით	0.56	0.69	-0.84	-0.73	-0.36
კავშირის სიძლიერე	ზომიერი დადებითი	საშუალო დადებითი	ძლიერი უარყოფითი	ძლიერი უარყოფითი	სუსტი უარყოფითი

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები საქსტატისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

კორელაციური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, უმალესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებასა და 25-34 წლის ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის დონეს, ასევე, სიღარიბის დონეს შორის კავშირი ძლიერ უარყოფითია, ხოლო კავშირი განათლების სახელმწიფო დაფინანსებასა და 25-34 წლის ასაკის მოსახლეობაში დასაქმების დონეს შორის კი – საშუალო დადებითი.

კორელაციის კოეფიციენტების დადგენის შემდეგ რეგრესული ანალიზის საფუძველზე დასადასტურებელი გვაქვს შემდეგი ჰიპოთეზები:

- ჰიპოთეზა 1:** უმალესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზრდის ახალგაზრდების დასაქმების დონეს;
- ჰიპოთეზა 2:** უმალესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ამცირებს ახალგაზრდებში უმუშევრობის დონეს;
- ჰიპოთეზა 3:** უმალესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ამცირებს სიღარიბის დონეს;
- ჰიპოთეზა 4:** უმალესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ამცირებს შემოსავლების უთანაბრობის დონეს.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14:

დამოკიდებული ცვლადი	დამოუკიდებელი ცვლადი	R ²	F სტატისტიკის მნიშვნელოვნება	შედეგი
დასაქმების დონე % (25-34 წ. ასაკი)	უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება	0,48	0,025	ჰიპოთეზა 1 – დადასტურდა
უმუშევრობის დონე % (25-34 წ. ასაკი)		0,70	0,002	ჰიპოთეზა 2 – დადასტურდა
სიღარიბის დონე		0,54	0,016	ჰიპოთეზა 3 – დადასტურდა
შემოსავლების უთანაბრობის დონე		0,13	0,30	ჰიპოთეზა 4 – არ დადასტურდა

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები საქსტატისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის დასადგენად, მოპოვებული იქნა შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 15:

წლები	უმაღლესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით (ათასი ლარი)	მშპ (ათასი ლარი)	LN – დაფინანსება	LN – მშპ
2013	78,827.50	28,593,000.00	18.18	10.26
2014	87,933.10	31,124,000.00	18.29	10.35
2015	132,736.70	33,935,000.00	18.70	10.43
2016	139,155.20	35,836,000.00	18.75	10.49
2017	140,742.20	40,762,000.00	18.76	10.62
2018	175,775.80	44,599,000.00	18.98	10.71
2019	174,087.70	49,253,000.00	18.98	10.80
2020	139,057.90	49,267,000.00	18.75	10.81
2021	155,034.80	58,529,000.00	18.86	10.98
2022	146,596.50	64,832,000.00	18.80	11.08

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მონაცემებზე საფუძველზე.

განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის შევადგინეთ ორმაგ ლოგარითმული რეგრესია, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$LN-მშპ = 6,98 + 0,75 * LN-დაფინანსება,$$

სადაც LN-მშპ აღნიშნავს მთლიან შიდა პროდუქტს აღებულს ნატურალური ლოგარითმით, ხოლო LN-დაფინანსება აღნიშნავს უმაღლესი განათლების დაფინანსებას აღებულს ნატურალური ლოგარითმით. შედეგი წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 16).

ცხრილი 16:

დამოუკიდებელი ცვლადი	დამოკიდებული ცვლადი	ფაქტორის კოეფიციენტი	კორელაციის კოეფიციენტი	დეტერმინაციის კოეფიციენტი	P - ალბათობა	ფაქტორის სტატისტიკური მნიშვნელობა	მოდელის სტატისტიკური მნიშვნელობა
LN – დაფინანსება	LN – მშპ	0.75	0.73	0.54	0.02	დიახ	დიახ

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები

მაშასადამე, რეგრესიის ანალიზის შედეგის მიხედვით, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების 1%-ით ზრდა განაპირობებს მშპ-ს 0,75%-ით ზრდას.

დასკვნები და რეკომენდაციები

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის შესასწავლად, წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად შესწავლილი იქნა სხვადასხვა მიმართულება და გაანალიზდა და შეფასდა შესაბამისი ინფორმაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შესაბამისი დასკვნები:

1. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება საქართველოში არსებული საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებულია როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. თუმცა, მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა. არაერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლება არა მხოლოდ ფართოვდება, არამედ სულ უფრო სტანდარტიზებულია (Meyer, J. W., Ramirez, F. O., Frank, D. J., & Schofer, E. :2007). თუმცა ამ სტანდარტიზების მიუხედავად, საკმაოდ დიდი განსხვავებაა სხვადასხვა ქვეყანაში სწავლის გადასახადის რაოდენობასა და სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების წესში. კიდევ ერთი გამოწვევა, რასაც ეს სტანდარტიზაცია იწვევს, არის უნივერსიტეტების სათანადო მომზადება, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, აკადემიური მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების წესი და მისი რაოდენობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწავლების თითოეული საფეხურის ხანგრძლივობაზე. რაც შეეხება განათლების უკუგებას, როგორც ქართველი მეცნიერები 2013 წლის კვლევაში აღნიშნავენ, ამონაგები განათლებაზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის განვითარების დონის მიხედვით და იგი ყველაზე მაღალი დაბალშემოსავლიან, ყველაზე დაბალი კი – მაღალშემოსავლიან ქვეყნებშია (ანდლულაძე, ნ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., :2013).

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებას აქვს დადებითი მხარე, ასევე, გასათვალისწინებელია ზოგადი უარყოფითი ასპექტები, კერძოდ:

- საბიუჯეტო შეზღუდვები – უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე და შესაბამისად მისი მოცულობა და მდგრადობა პირდაპირ კავშირშია ბიუჯეტის შემოსავლების სტაბილურობასთან. ეკონომიკური არასტაბილურობის ან ბიუჯეტის შემცირების დროს მთავრობამ შესაძლოა შეამციროს, შეცვალოს ან შეზღუდოს უმაღლესი განათლების დაფინანსება, რაც გრანტების, სტიპენდიების და ფინანსური დახმარების სხვა ფორმების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკებს ზრდის;
- ხელმისაწვდომობა – სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამებს ხშირად აქვთ შერჩევის სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორცაა შემოსავლის მოცულობა, აკადემიური მოთხოვნები, სოციალური სტატუსი და სხვა, რის გამოც შესაძლოა ბევრ სტუდენტს შეეზღუდოს განათლებაზე ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, შესაძლოა სახელმწიფო დაფინანსება არ იყოს საკმარისი განათლების სრული საფასურის დასაფარად, ამას ემატება საცხოვრისის და სხვა ხარჯები. ყოველივე ეს კი განაპირობებს უმაღლეს განათლებაზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას;
- ინფლაციური ეფექტი – უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებისას გასათვალისწინებელია სწავლის საფასურის ინფლაციის რისკი, კერძოდ, კომერციული თვალსაზრისით, შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსების გამო, მოხდეს სწავლის საფასურის ზრდა, რაც პირდაპირპროპორციულად აძვირებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამიტომაც მნიშვნელოვანია სახელმწიფომ განახორციელოს ამ მიმართულებით მონიტორინგი, რადგან განათლების ხელმისაწვდომობა არ შეიზღუდოს სწავლის გაზრდილი გადასახადით;
- რესურსების არასწორად განაწილების რისკი – უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში რესურსები შესაძლებელია არ იყოს ყოველთვის ეფექტიანად განაწილებული, რაც გამოიხატება ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე ზოგიერთი მიმართულებების დაუფინანსებლობაში. შესაძლოა

დაფინანსებული სპეციალობები არ შეესაბამებოდეს ბაზრის მოთხოვნებსა და პრიორიტეტებს, რის შედეგადაც იზრდება კურსდამთავრებულების მიერ შეძენილ უნარებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის რისკი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს უმუშევრობას, რომელიც, ასევე, სახელმწიფოს აწვება ტვირთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორები და სავარაუდო რისკები არ არის უნივერსალური ხასიათის და ის მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თითოეული ქვეყნის განათლების პოლიტიკაზე, მისი დაფინანსების სტრატეგიებსა და მიზნებზე, ასევე, ამ პროცესების მართვასა და ზოგადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

აქვე უნდა ჩამოვთვალოთ უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ზოგადი დადებითი მხარეები და პოტენციური სარგებელი:

- განათლებაზე ხელმისაწვდომობა – სახელმწიფო დაფინანსებას შეუძლია ხელი შეუწყოს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას სტუდენტების ფართო სპექტრისთვის. ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებს, როგორცაა სტიპენდიები და გრანტები, შეუძლია დაეხმაროს დაბალი შემოსავლის მქონე სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება. ეს ხელს უწყობს სოციალურ თანასწორობას და უზრუნველყოფს განათლების უფლების დაცვას, რომელიც, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, ასევე დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით, რომლის თანახმადაც „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო

დანესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995)

- ნაკლები ფინანსური ვალდებულების ტვირთი – სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსება ხელს უწყობს სტუდენტებს, ჰქონდეთ ნაკლები საფინანსო/სასესხო ვალდებულება, რომლის გამოც მათ არ მოუწევთ დროის განაწილება სწავლასა და სამსახურს შორის;
- ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება – სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს პროფესიონალიზმს, კადრებს ძლიერი უნარებითა და მონინავე, ინოვაციური მიდგომებით. სწორედ ამიტომ, უმაღლესი განათლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსება არის ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას;
- ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალით უზრუნველყოფა – უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება შესაძლებლობას იძლევა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები (სპეციალობები), რაც საბოლოოდ, ასევე, პოზიტიურად აისახება კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. აღნიშნული მიგდომა არის პროფესიონალების სამიზნე სექტორებში დასაქმებისა და სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისი დარგების წახალისება-გაძლიერების შესაძლებლობა;
- მეცნიერების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა – სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსება, რა თქმა უნდა, ასევე, გულისხმობს სტუდენტებისა და მკვლევრების მიერ სხვადასხვა პროექტის განხორციელებას. აღნიშნული განაპირობებს როგორც სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებას, ისე მეცნიერული კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობას. თანამედროვე კვლევებისა და სამეცნიერო მიღწევების ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამარტო საგანმანათლებლო სფეროზე, არამედ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების სტრატეგია, სტრუქტურა, ინსტიტუციური მხარე და მისი შედეგები საჭიროებს მუდმივ მონიტორინგსა და შესწავლას, რათა ეფექტიანად მოხდეს სახელმწიფო რესურსების გადანაწილება სწორად შერჩეულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებში. უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი უნდა იყოს მოქნილი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მოთხოვნებსა და განათლების სისტემის განვითარების მსოფლიო ტენდენციებს;

2. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების უცხოური მოდელების განხილვისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული მექანიზმი განხილულ ქვეყნებში სტრუქტურითაა რაოდენობასთან ერთად ეფუძნება სხვადასხვა კრიტერიუმს, რაც სასწავლებლებს შორის მუდმივი კონკურენციის არსებობის პირობაა. აღნიშნული მიდგომით კი რესურსები ნაწილდება ოპტიმალურად, ხოლო სტრუქტურები იღებენ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას.

ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით ყურადსაღები და მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების შემდეგი უცხოური გამოცდილება:

- რუმინეთში არსებული მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაფინანსების კრიტერიუმებში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო/შემოქმედებითი/სპორტული აქტივობების, საერთაშორისო პერსპექტივის, რეგიონული ორიენტაციისა და სოციალური თანასწორობის არსებობას;
- ფინეთის მოდელი, რომელიც სასწავლებლების დაფინანსებისას ითვალისწინებს განათლების (მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობისა და დასაქმების ხარისხის), კვლევებისა და სხვა მაჩვენებლების (მათ შორის სტრატეგიული განვითარების) კომპონენტებს;
- ესტონური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს უფასო უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას ყველა სტრუქტურისათვის, რომლებიც სწავლობენ ესტონურ ენაზე და სასწავლო გეგმით განსაზღვრული კურიკულუმით, რაც გულისხმობს სემესტრში 30, ხოლო წელიწადში 60 კრედიტის ათვისებას;

- იაპონური მოდელი, რომელიც სასწავლებლების დამატებითი რესურსებით დასაფინანსებლად პროექტებზე დაფუძნებულ კონკურენტულ მეთოდს იყენებს. მთავარი კრიტერიუმი არის შედეგიანი ღონისძიებები, რაც იმის წინაპირობაა, რომ შემცირდეს იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა მიზანი არ არის სწავლა და წარმოქმნის არამიზნობრივ ფინანსურ ხარჯებს ოჯახისთვის;
- ფრანგული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა საცხოვრებლით, უფასო სამედიცინო მომსახურებითა და დასაქმების შესაძლებლობებით უზრუნველყოფის პროგრამებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მრავალფეროვან კულტურულ, კარიერული განვითარებისა და სპორტულ ღონისძიებებში. მხარდაჭერის სერვისები ხელს უწყობს სტუდენტების კეთილდღეობასა და აკადემიურ მიღწევებს, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყურადღება გაამახვილონ სწავლაზე და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი დრო უნივერსიტეტში;
- გერმანული მოდელი, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება სახელმწიფოს კონტროლის მაღალ დონეზე ჰყავს აყვანილი და განათლების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ფედერალურ, მინების და ადგილობრივ დონეზე, ხოლო დაფინანსების კრიტერიუმებია სტუდენტების რაოდენობა, კვლევის შედეგები და ამოცანების შესრულების ინდიკატორები;
- ბელგიური მოდელი, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტების დაფინანსებას როგორც ფორმულაზე (ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, კვლევის შედეგებს, სწავლების ხარისხს და აკადემიურ მოსწრებას), ისე შესრულებაზე (ითვალისწინებს კვლევის გავლენას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა) დაფუძნებული ელემენტებით;

3. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი სიკეთეა, რომელსაც მოსახლეობა სახელმწიფოსაგან იღებს. ამ სიკეთით სარგებლობაში კი გადამწყვეტია სიკეთით მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი ინფორმაციის

ფლობა. აღნიშნულის დასადგენად ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები კი ცხადყოფს შემდეგს:

- 159 გამოკითხული აბიტურიენტიდან მხოლოდ 47.2% ფლობს სრულ ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ამასთან, მხოლოდ 5,7%-მა აირჩია სპეციალობა უფასოდ სწავლის შესაძლებლობის გამო;
- 409 გამოკითხული სტუდენტიდან აბიტურიენტობის პერიოდში მხოლოდ 30,1% ფლობდა სრულ ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ამასთან, მხოლოდ 9%-მა აირჩია სპეციალობა უფასოდ სწავლის შესაძლებლობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ აბიტურიენტთა ინფორმირებისთვის შესაბამისი სტრუქტურები იყენებენ მრავალფეროვან საშუალებებს (ინტერნეტპლატფორმებს, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ვიზიტებს სკოლებში და სხვა), სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე მაინც დაბალია. მოცემული მდგომარეობის მიზეზებში არ უნდა გამოგვჩივს მომავალ სტუდენტთა გულგრილი დამოკიდებულება, რადგან ინტერნეტრესურსების საშუალებით ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის მოძიება. ამიტომ ცალსახად იმის თქმა, რომ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების სახით არსებული საზოგადოებრივი სიკეთე ვერ აღწევს სრულად საზოგადოებამდე, რადგან მათ არ მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია, არამართებულია. აღნიშნული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია აბიტურიენტთა ინფორმირებულობის ღონისძიებები დაიგეგმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების პასუხისმგებელი სამინისტროების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად. ამასთან, აბიტურიენტთა უმრავლესობას, ვისაც სურს შეიძინოს პროფესია, არ იზიდავს საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უფასოა. პრიორიტეტული მიმართულებებით აბიტურიენტთა დაინტე-

რესებას თან უნდა ახლდეს სრულყოფილი განათლების მიღების და პროფესიით დასაქმების რეალური პერსპექტივა, რაც გარანტირებული იქნება სახელმწიფოს მიერ. დაინტერესებულ სტუდენტს უნდა გააჩნდეს იმის განცდა, რომ მის მიერ არჩეული პროფესია ქვეყნის განვითარებისთვის მართლაც მნიშვნელოვანია, რაც აამაღლეს მის მოტივაციას პროფესიონალ კადრად ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფებაში;

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შრომის ბაზრის ანალიზის ფარგლებში გამოკითხული 367 კურსდამთავრებულისაგან მხოლოდ 52,2% არის დასაქმებული თავისი სპეციალობით, ამასთან, 46,3% სარგებლობდა სწავლის პერიოდში სხვადასხვა სახის დაფინანსებით (პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო გრანტით, მუნიციპალური დაფინანსებით და სხვა). გამოკითხულთა მხოლოდ 59,7%-ს ჰქონდა შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციალობისადმი ინტერესის გამო. მოცემულ შემთხვევაში გამოკითხულთა შორის 53,7% არ სარგებლობდა არანაირი სახელმწიფო დაფინანსებით უმაღლესი განათლების მიღებისას, თუმცა, ოჯახის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯის მიუხედავად, 40,3%-ის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა არჩეული იყო არა მისდამი ინტერესის, არამედ პერსპექტიულობის, ოჯახისა და ახლობლების გავლენის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა საკმაოდ დიდი ნაწილი მომავალი სპეციალობისადმი დიდი ინტერესით არ გამოირჩევა და მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი გააჩნია. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა მას ვაჟები სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან თავის ასარიდებლად იყენებენ და ბაკალავრიატის ერთი სპეციალობის დასრულების შემდგომ კვლავ ცდილობენ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში, ამ შემთხვევაში, მეტწილად სწორედ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

5. პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა შედეგინობის კვლევის მიზნით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 172 კურსდამთავრებულის (რომლებმაც პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამა ბსუ-ში დაასრულეს 2018 წელს

და შემდგომ) გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ 47,4%-ის შემთხვევაში სპეციალობა არჩეული იყო უფასოდ სწავლების შესაძლებლობის გამო. ამასთან, გამოკითხულთა მხოლოდ 68,4% აირჩევდა იგივე საგანმანათლებლო პროგრამას, არჩევანი ახლა რომ ჰქონდეს გასაკეთებელი. ამასთან, პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ 55,2%-ია დასაქმებული პროფესიის შესაბამისად. მაშასადამე, პრიორიტეტულ სპეციალობებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა დაბალია, რაც ამცირებს დასაქმების პერსპექტივას და კურსდამთავრებულს უქმნის მცდარ მოლოდინს.

აბიტურიენტთა მოთხოვნაზე პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების გავლენის შესასწავლად 2013-2014 სასწავლო წლიდან 2023-2024 სასწავლო წლის ჩათვლით ცალკეულ პრიორიტეტულ სპეციალობაზე გამოცხადებული ადგილებისა და მიღებული კონტინგენტის ანალიზის საფუძველზე, ყველაზე ნაკლებმოთხოვნად სპეციალობებს მიეკუთვნება ფიზიკა და ქიმია. მაშასადამე, ამ „არაპრესტიჟულ“ სპეციალობებზე მოთხოვნის ზრდა ვერ განაპირობა სახელმწიფო დაფინანსებამ და აბიტურიენტთა დასაინტერესებლად მხოლოდ უფასოდ სწავლების შესაძლებლობა საკმარისი არ არის.

ეკონომიკურ მეცნიერებებში განათლების როლისა და სწავლის შესახებ ადამიანთა გადანყვეტილებებს ორგვარად შეიძლება მივუდგეთ. პირველი – ეკონომიკური თეორიის თანახმად რაციონალური ადამიანი გადანყვეტილებას ზღვრული მოსალოდნელი სარგებლის და დანახარჯების შედარებით იღებს, ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ძნელია სამართლიანად მიიჩნიო ჩამოყალიბებული სტერეოტიპი აბიტურიენტების მცდარი არჩევანის შესახებ. მეორე მოსაზრების თანახმად, განათლების მიღება თავისთავად არ წარმოადგენს ღირებულებას შემდგომში ანაზღაურების, პროდუქტიულობის ზრდის კუთხით და მას უბრალოდ სიგნალის მიცემის ფუნქცია აქვს, რაც დამსაქმებელში აყალიბებს მოსაზრებას, რომ სტუდენტს, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, გამორჩეული უნარები გააჩნია. აღნიშნული თეორიის მიხედვით კი აბიტურიენტთა მხრიდან ე.წ. „პრესტი-

ჟული“ სპეციალობების (სადაც კონკურენცია გაცილებით დიდია) მიმართ მაღალი მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ ისინი ცდილობენ „სიგნალი“ გაუგზავნონ დამსაქმებელს, რომ მათი უნარები გამორჩეულია. ამ თეორიის მიხედვით განათლების სისტემას მხოლოდ გადარჩევის ფუნქცია აქვს. აღნიშნულ თეორიას ამყარებს ჩვენს მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგიც – რესპონდენტთა მხოლოდ 41,4%-ს გამოადგა პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით მიღებული განათლება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას 80%-ით ან მეტად.

ამრიგად, მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციები:

- პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების ქვეყნის საჭიროებებთან და გამონწვევებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიდგომები გადაიხედოს ყოველწლიურად წინასწარ შერჩეული მკაფიო კრიტერიუმების (ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა, სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ქვეყნის გამონწვევებთან და სხვა) შესაბამისად;
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გაითვალისწინონ შრომის ბაზრის მოთხოვნები შესაბამისი კვლევების საფუძველზე. ამასთან, ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს არა მექანიკურად, არამედ გამოცდილებისა და პერსპექტივის შეფასების საფუძველზე;
- აუცილებელია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თვალი ადევნონ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებულ უახლეს ტენდენციებსა და დამსაქმებლის მოთხოვნებს, რათა უზრუნველყონ სასწავლო პროგრამებში ტრანსფერული უნარების სწავლების ინტეგრირება;

6. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის მოსახლეობის შემოსავლების

ზრდა. საქართველოში განათლებაზე განეული ხარჯების მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე გავლენის შესასწავლად განვხორციელეთ 2006-2021 წლების მიხედვით მშპ-ში განათლებაზე განეული ხარჯების წილისა და შემოსავლების ზრდის ტემპს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ემპირიული ანალიზის გამოყენებით. გრეინჯერის ტესტის შედეგად დადგინდა, რომ განათლებაზე განეული ხარჯების ზრდა ინვეეს მოსახლეობის შემოსავლებს ზრდას. დისპერსიული ანალიზის საფუძველზე კი შედეგი შემდეგნაირია – განათლებაზე განეული ხარჯის 1%-ით ზრდა ინვეეს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას 0,23%-ით ანუ საკმაოდ მცირედით;

7. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამის შედეგები ასახულია მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში (დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა) და არ ითვალისწინებს ხარისხობრივი კრიტერიუმით შედეგების შეფასებას, ამასთან, წლების მიხედვით ანგარიშებში გადმოცემულია ერთი და იგივე ინფორმაცია განსხვავებული ციფრებით, რაც არ იძლევა ბიუჯეტის პროექტებით განსაზღვრული ზოგადი მიზნების მიღწევის სრულყოფილად შეფასების საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის პროგრამებშიც მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები აისახოს არა ზოგადად, არამედ ხარისხობრივი და რაოდენობრივი (თვლადი) კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა კი პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურას საშუალებას მისცემს, რეალურად შეაფასოს დაგეგმილი მიზნების მიღწევის მდგომარეობა, გაანალიზოს მათი არასრულად განხორციელების შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოავლინოს კონკრეტული მიზეზები და მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ისინი;

8. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს ჩატარებული უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტის მიგნებების საფუძველზე აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია დასკვნა, რომლის შესაბამისადაც პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეული სპეციალობები არ

არის თანხვედრაში არსებულ საჭიროებებთან, რის გამოც პროგრამა არაეფექტიანად ხორციელდება. აღნიშნულის მთავარი მიზეზი კი სათანადო კვლევების განუხორციელებლობა და პრიორიტეტულობის შეფასების მექანიზმის არარსებობაა. სისტემური მიდგომის არარსებობის გამო სუსტია კავშირი საგანმანათლებლო პროგრამებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის, რის გამოც დაბალია პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი. პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული მოცემულ დარგში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების საჭიროება. ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მისაღები სტუდენტების რაოდენობა არაოპტიმალურად არის გადანაწილებული, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ ზრდას იწვევს. მონიტორინგის სისტემის არარსებობის გამო, სამინისტრო არ აფასებს მიღწეული შედეგებისა და პროგრამის ეფექტიანობას. აქედან გამომდინარე, არ ხორციელდება დაფინანსების წესის და პრიორიტეტული მიმართულებების საჭიროებების შესაბამისად კორექტირება.

ჩვენი კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ მდგომარეობა დღემდე არ გაუმჯობესებულა. ამასთან, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები ჯერ არაა ცნობილი და მას მიმდინარე სტატუსი აქვს;

9. უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის დასადგენად განხორციელებული კორელაციურ-რეგრესული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

- დაფინანსება ამცირებს უმუშევრობის დონეს ახალგაზრდებში და ასევე, სიღარიბის დონეს (კავშირი ძლიერი უარყოფითია);
- დაფინანსება ზრდის დასაქმების დონეს ახალგაზრდებში (კავშირი საშუალო დადებითია);
- დაფინანსების ზრდა 1%-ით განაპირობებს მშპ-ს 0,75%-ით ზრდას.

მაშასადამე, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალური განვითარების მაჩვენებლებზე უფრო ძლიერია, ვიდრე ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე.

10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმდინარე წლის ნოემბერში უკვე დააანონსა პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების წესში მოსალოდნელი ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლიდან. მიმდინარეობს ცვლილების პროექტზე მუშაობა და ამჟამად არსებული გადაწყვეტილებით პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისებაზე იქნება დამოკიდებული. ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინაციით იგეგმება პრიორიტეტულ მიმართულებათა გადახედვაც (ელ. რესურსი: <https://edu.aris.ge/news/studentis-swavla-ew-ufaso-fakultetze-konkretuli-datqmit-dafinansdeba-ra-cvlibebs-aanonsebs-ganatlebis-saministro.html>).

გარდა აღნიშნულისა, მსოფლიო ბანკის პროექტის ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD) აღმასრულებელი დირექტორის ინფორმაციით უკვე ჩამოყალიბებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას უმაღლესი განათლების ეროვნულ მიზნებთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისი კრიტერიუმებით. ინდიკატორების კატალოგიდან საგანმანათლებლო დაწესებულება თავად არჩევს მის მისიასთან და პროფილთან შესაბამისს და მათი შესრულებით შეიტანს წვლილს უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, სანაცვლოდ კი მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნული მოდელის საპოლოტე ვერსიის აღმინისტრირება 2024 წლის შუა პერიოდშია დაგეგმილი (ელ.რესურსი: <https://edu.aris.ge/news/rodis-daiwyeba-universitetebis-shesrulebazedafudznebuli-dafinansebis-modelis-pilotireba-iqmnebamdzlavri-eleqtronuli-sistema.html>).

11. ცალსახაა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მოქმედი მოდელი არაეფექტიანია, სრულად

არ ამართლებს საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობას და არ არის თანხვედრაში ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ქვეყნისთვის საჭირო პროფესიების პოპულარიზაცია და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კომპონენტად განისაზღვროს ასეთი სპეციალობების კურსდამთავრებულთა პრაქტიკული გადამზადება საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათი დასაქმების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიმართულებით მიდგომათა გადახედვა და ცვლილებების განხორციელება საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებისა და უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის მიზნით გარდაუვალი პროცესია. ამდენად, სწორად შერჩეული ინდიკატორებისა და კრიტერიუმების გამოყენებით, უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების დადებითი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. არევაძე, ლ. (2016). „სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ფაკულტეტების ეფექტიანობა“;
<https://idfi.ge/ge/effectiveness-of-fully-funded-faculties>
2. ადეიშვილი, გ., სალარეიშვილი, გ., ჟამურაშვილი, ლ. (2022) „განათლების სექტორის მიმოხილვა“;
<https://idfi.ge/public/upload/00–studies/GEO–IDFI–Education–2022.pdf>
3. ანდლულაძე, ნ., ბრეგვაძე, ნ., აფხაზავა, თ., აფხაზავა, რ. (2013) „უმაღლესი განათლების უკუგება საქართველოში“.
4. 2023 წლის 18 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №263, „2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობის, ოდენობისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“;
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5869460?publication=0>
5. 2022 წლის 12 აგვისტოს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №92/ნ, „2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი და პირობები“;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5542831?publication=0>
6. 2022 წლის 14 სექტემბერის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №104/ნ, „2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
<https://mes.gov.ge/uploads/files/2022/N104-14,09,2022.pdf>
7. 2022 წლის წლის 14 სექტემბერის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №105/ნ, „2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
<https://mes.gov.ge/uploads/files/2022/N105-14,09,2022.pdf>
8. 2022 წლის 26 აპრილის საქართველოს მთავრობის №220 დადგენილება, „2022-2023 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5565170?publication=0>
9. 2008 წლის 25 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №254, „2009-2010 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5986?publication=0>
 10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;
<https://www.mof.ge/saxelmwifo-biujeti-wlebis-mixedvit>
 11. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023;
<https://eqe.ge/ka/page/static/89/umaghlesi-saganmanatleblo-datse-sebulebebi>
 12. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2023;
<https://emis.ge/umaghlesi-ganatileba/dafinanseba/>
 13. განათლების სექტორი საქართველოში 2020, გალტ&თაგარტი;
<https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-05/14673.pdf>
 14. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (2019). „უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი“
<https://sao.ge/files/auditi/auditi-angarishebi/2019/umaghlesi-ganatilebis-programebis-efeqtianobis-auditi-angarishi.pdf>
 15. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
 16. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=99>
 17. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=104>
 18. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608?publication=17>
 19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>
 20. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო
<https://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo>

21. „უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013.
<https://www.tsu.ge/data/file-db/xarixsis-martvis-dep/ganatlbebis-politika-5.pdf>
22. Netgazeti.ge – ქართულენოვანი ახალი ამბების გვერდი
<https://netgazeti.ge/about/>
23. DAAD – საქართველო – German Academic Exchange Service
<https://www.daad-georgia.org/ka/chven-shesakheb/>
24. საგანმანათლებლო ვებ-გვერდი საქართველოში Aris.ge – განათლება, სტატია „სტუდენტის სწავლა ე.წ. უფასო ფაკულტეტზე კონკრეტული დათქმით დაფინანსდება – რა ცვლილებებს აანონსებს განათლების სამინისტრო“;
<https://edu.aris.ge/news/studentis-swavla-ew-ufaso-fakultetze-konkretuli-datqmit-dafinansdeba-ra-cvlilebebs-aanonsebs-ganatlbebis-saministro.html>
25. საგანმანათლებლო ვებ-გვერდი საქართველოში Aris.ge – განათლება, სტატია „უნივერსიტეტების შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის პილოტირების დასაწყისი ცნობილია – იქმნება მძლავრი ელექტრონული სისტემა“;
<https://edu.aris.ge/news/rodis-daiwyeba-universitetebis-shesrullebaze-dafudznebuli-dafinansebis-modelis-pilotireba-iqmnebam-dzlavri-eleqtronuli-sistema.html>
26. Liefner, I. (2003). „Funding, resource allocation and performance in higher education systems“;
<https://www.jstor.org/stable/3447572>
27. Meyer, J. W., Ramirez, F. O., Frank, D. J., Schofer, E., (2007) „Higher education as an institution. Sociology of higher education: Contributions and their contexts“;
<https://www.researchgate.net/publication/252605059-Higher-Education-as-an-Institution>
28. Tavdgiridze, L., Katamadze, G., Bolkvadze, M. (2023). „School education, technologies, challenges-practice, analysis and perspectives based on the Georgian example“. In INTEND 2023 proceedings, (pp. 1658-1662). IATED;

29. Allocating core public funding to universities in Europe: state of play and principles, 2022;
<https://eua.eu/downloads/publications/funding%20models%20v2.pdf>
30. Approximately 351 billion euros for education, science and research in 2021;
<https://www.destatis.de/EN/Press/2023/04/PE23-161-217.html>
31. Designing strategies for efficient funding of universities in Europe;
<https://eua.eu/downloads/publications/designing%20strategies%20for%20efficient%20funding%20of%20universities%20in%20eu-rope%20define.pdf>
32. Education, research and culture – the Federal Statistical Office;
<https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/-node.html>
33. Expenditure on education;
<https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Educational-Finance-Promotion-Education-Training/Tables/expenditure-public-budgets-education.html>
34. Expenditure on education and culture;
<https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Educational-Finance-Promotion-Education-Training/Tables/current-funding-student-areas-study.html>
35. European Education Area – Quality education and training for all;
[https://education.ec.europa.eu/document/commission-communication-on-a-european-strategy-for-universities\).m](https://education.ec.europa.eu/document/commission-communication-on-a-european-strategy-for-universities).m)
36. Finland higher-education funding;
<https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/finland/higher-education-funding>
37. Finland Education System;
<https://leverageedu.com/blog/finland-education-system/>
38. Government Funding – Federal Ministry of Education and Research, Germany;
<https://www.research-in-germany.org/en/research-landscape/why-germany/research-funding-system/government-funding.html>
39. Higher Education 2023 – Republic of Estonia, Ministry of Education and Research;

- <https://www.hm.ee/en/education-research-and-youth-affairs/general-education/higher-education>
40. Japan's Higher Education policies under Global Challenges – 2023;
<https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/aepr.12421>
 41. Ministry of Education and Culture proposal for the 2023 Budget – Finnish Government;
<https://valtioneuvosto.fi/en/-/1410845/ministry-of-education-and-culture-proposal-for-the-2023-budget>
 42. Private Institutions of higher education;
<https://www.destatis.de/EN/Themes/Society-Environment/Education-Research-Culture/Institutions-Higher-Education/Tables/private-institutions-of-higher-education-total.html>
 43. The budget of the Federal Ministry of Education and Research;
<https://www.bmbf.de/bmbf/en/ministry/budget/budget-node.html>

Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Economics and Business

**THE INFLUENCE
OF GOVERNMENT FUNDING
OF HIGHER EDUCATION
ON THE SOCIO-ECONOMIC
DEVELOPMENT OF THE COUNTRY**

Batumi
2023

Authors:

- Chapter I – BSU associate professor **Ekaterine Shainidze** and
BSU assistant-professor **Giorgi Katamadze**;
- Chapter II – Doctoral students of BSU **Nestan Varshanidze** and **Giorgi Abashidze**;
- Chapter III – BSU assistant-professor **Nino Mamuladze**;
- Chapter IV – BSU assistant-professor **Nino Mamuladze**;
- Chapter V – BSU assistant-professors **Tamar Pholadashvili, lamze Surmanidze,**
Tariel Giorgadze, Tamila Turmanidze, Nino Mamuladze,
BSU associate professor **Ekaterine Shainidze**;
- Chapter VI – BSU assistant-professor **Tamar Ghoghoberidze**;
- Chapter VII – BSU associate professor **Ekaterine Shainidze**;
- Chapter VIII – BSU associate professor **Ekaterine Shainidze,**
Doctor of Economics **Tamta Beridze**;
- Chapter IX – BSU associate professor **Ekaterine Shainidze,**
BSU assistant-professors **Nino Mamuladze and lamze Surmanidze**;
- Conclusions and Recommendations – BSU associate professor **Ekaterine Shainidze,**
BSU assistant-professor **Nino Mamuladze, Giorgi Katamadze,**
Tamar Pholadashvili, lamze Surmanidze, Tariel Giorgadze,
Tamila Turmanidze, Tamar Ghoghoberidze,
Doctor of Economics **Tamta Beridze,**
Doctoral students of BSU **Nestan Varshanidze and Giorgi Abashidze.**
- Ana Sharabidze, Lika Lursmanashvili, Linda Ghorjomeladze,** students of the Faculty
of Economics and Business of BSU were involved in the research process.
- Tamar Ghoghoberidze,** BSU assistant-professor provided an English translation of the
monograph.

Scientific editor: candidate of economic sciences,
BSU associate professor **Paata Aroshidze**;

Reviewers: Candidate of economic sciences, BSU professor **Vazha Verulidze**;
Candidate of Pedagogical Sciences, BSU Professor **Nana Makaradze.**

Designer: **Dato Mosiashvili**

ISBN 978-9941-8-6175-8

DOI <https://doi.org/10.5281/zenodo.10404299>

This monograph is a focused study conducted as part of the targeted scientific-research project **„The influence of government funding of higher education on the socio-economic development of the country“** at Batumi Shota Rustaveli State University. The text discusses the mechanism and structure of state funding for education, as well as its effectiveness and efficiency. It also explores the effects of education funding on the welfare of the population and numerous indicators of socio-economic development.

Batumi Shota Rustaveli State University is supporting the production of the monograph as part of the targeted scientific-research project **„The influence of government funding of higher education on the socio-economic development of the country“** which will be carried out at BSU in 2023.

TABLE OF CONTENTS

INTRODUCTION	135
CHAPTER I. Legal bases for funding, institutional structure, and delegation of authority in higher education	137
CHAPTER II. Foreign Models of State Funding of Higher Education.....	156
CHAPTER III. Georgia's public consciousness Regarding the method of financing	179
CHAPTER IV. Analysis of the labour market of higher educational institutions graduates	187
CHAPTER V. Efficacy of allocating funds to essential educational initiatives.....	190
CHAPTER VI. The influence of education expenditures on the general welfare of the population	205
CHAPTER VII. Assessment of the achievement of the goals delineated in the budgetary initiatives	213
CHAPTER VIII. Results of the audit of the effectiveness of the state funding of higher education conducted by the State Audit Service	219
CHAPTER IX. Determining of the influence of higher education state funding on various indicators of socio-economic development.....	226
CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS	232
REFERENCES AND SOURCES	244

INTRODUCTION

In Georgia, the state finances higher education in a variety of ways, the primary objective of which is to develop a modern and innovative educational environment with public engagement. The most important aspect of this mission is to protect the principles of competition and equal opportunity, provide access to education, encourage the self-actualization of students, and equip them with relevant knowledge and skills, all of which should have a positive impact on the socioeconomic development of the nation.

The state finances higher education through programmes and sub-plans that correspond to the state budget and whose descriptions include clearly stated aims and objectives. Within the scope of the research, the objectives outlined by the aforementioned programmes were evaluated and measured using economic-mathematical methods, the correlation between state funding in this direction and socio-economic development indicators of the country was established, problems were identified, and pertinent recommendations were formulated.

The objective of the study is to assess the efficacy of governmental funding of higher education and its effects on the socioeconomic development of the nation.

The research objective are:

- Analysis of the institutional structure of financing for higher education and the delegation of authority;
- Analyse of international models of public financing of higher education;
- Determining the extent to which the public is aware of the financing system and ensuring compliance;
- Analysis of the labor market of graduates of higher educational institutions;
- Using employment statistics and other significant variables to determine the efficacy of financing for key educational programmes;

- Comparing the trajectory of the rising share of the overall budget devoted to financing higher education to the rise in living standards;
- Utilizing pertinent indicators, evaluate the achievement of subprograms of the state budget's set objectives.
- Reviewing the results of the effectiveness audit conducted in the direction of the issue of the research and monitoring the execution of the supplied suggestions;
- Determining the influence of governmental funding of higher education on several socioeconomic indices;
- The formulation of pertinent recommendations based on study findings.

CHAPTER I

LEGAL BASES FOR FUNDING, INSTITUTIONAL STRUCTURE, AND DELEGATION OF AUTHORITY IN HIGHER EDUCATION

